აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№59 (24.939) შაბათი, 11 - 13 ივნისი, 2022 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 23-28, მაღალ მთაში - 15-20 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 18 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 758 მილიმეტრი.

ხვალ მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა, მომდევნო 2 დღეს - უნალექო ამინდი.

მინისტრმა უმაღლეს საბჭოს 2021 წლის აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარუდგინა

ხატია იაშვილი 555 18 48 88

გუშინ აჭარის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ კანონმდებლებს ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში წარუდგინა

როგორც მინისტრმა განაცხადა, აჭარის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები 307 361 800 ლარით შესრულდა. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, შემოსულობების ფაქტობრივი შესრულება 28 705 000 ლარით, 10,3 პროცენტითაა გაზრდილი, ბიუჯეტის შემოსავლები კი 285 103 400 ლარით შესრულდა, რაც გეგმის 93,8 პროცენტია.

ჯაბა ფუტკარაძის თქმით, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, შემოსავლების ფაქტობრივი შესრულება 37 219 200 ლარით, 15,0 პროცენტით არის გაზრდილი. აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2021 წლის სხვა შემოსავლები 11 699 300 ლარით შესრულდა. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, სხვა შემოსავლების ფაქტობრივი შესრულება 1 047 700 ლარით, 9,8 პროცენტით არის გაზრდილი.

2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ წლიური ანგარიშის შემდეგ, ჯაბა ფუტკარაძე საკანონმდებლო ორგანოს წინაშე „მინისტრის საათის“ ფორმატში წარსდგა. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა სამინისტროს საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა, მან ყურადღება გაამახვილა ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამების განხორციელებაზე, ასევე სხვა განხორციელებულ პროექტებზეც ისაუბრა. უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა რეგიონის მთავრობის წევრს შეკითხვებით მიმართეს. სხდომა თითქმის 7 საათს გაგრძელდა. დეტალურ ინფორმაციას 10 ივნისის რიგგარეშე პლენარული სხდომის შესახებ გაზეთი „აჭარა“ მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

აჭარიდან წარდგენილ კანონპროექტს პარლამენტმა მხარი დაუჭირა

აჭარის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებას ითვალისწინებს, საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, მესამე მოსმენით განიხილეს. ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ საკანონმდებლო ორგანომ გაავრცელა

„კანონის პროექტი აჭარის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლადო მგალობლიშვილმა წარადგინა.

- ცვლილების თანახმად, საქართველოს პარლამენტში ინიცირებული ნებისმიერი კანონპროექტის განმარტებით ბარათში უნდა აღინიშნოს, თუ რა გავლენას მოახდენს კონკრეტული კანონპროექტი ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე. კანონის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა, - აღნიშნა ლადო მგალობლიშვილმა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ კანონპროექტს პარლამენტმა, 89 ხმით, მხარი დაუჭირა“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ია შველიძე

კრიალოსანი

საქართველოში სპეციალური ეკონომიკური ზონის შექმნა, ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობისა და არსებული ხელსაყრელი ბიზნესგარემოს გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკურ ჰაბად აქცევს, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა „სანკო ჰოლდინგის“ მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარე, თურქეთის ბირჟებისა და სავაჭრო პალატების კავშირის ენერგეტიკული მიმართულების ხელმძღვანელ ზექი ქონუქოღლუსთან შეხვედრისას განაცხადა. შეხვედრას საქართველოში თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ფატმა ჯერენ იაზგანი და „სანკო ჰოლდინგის“ მრჩეველი ჯემალ არიქი ესწრებოდნენ.

* * *

რუსეთს პასუხი უნდა გაეცეს და ეს პასუხი მხოლოდ ერთია - ევროკავშირი და ევროკავშირში ინტეგრაცია, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ბრიუსელში, ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის ინიციატივით გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე „ქალები კონფლიქტებში“. „რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებულმა სამმა აგრესიამ აჩვენა, რომ ქალები იყვნენ როგორც მსხვერპლები, ასევე ლტოლვილები, მაგრამ ვფიქრობ, უკრაინამ გვაჩვენა, რომ ქალებმა შეწყვიტეს მსხვერპლად ყოფნა, ისინი ასრულებენ თავიანთ როლს, დგანან მტკიცედ და სრულად ახდენენ ერის ერთიანობის არაჩვეულებრივ დემონსტრირებას“, - აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

* * *

„მინისტრის საათის“ ფორმატში, პარლამენტში საქართველოს თავდაცვის მინისტრს მოუსმინეს. ჯუანშერ ბურჭულაძემ დეპუტატებს რეფორმების, მიმდინარე პროექტების, სამინისტროს პრიორიტეტებისა და გეგმების შესახებ ანგარიში გააცნო. მისი თქმით, თავდაცვის ძალების მზადყოფნის დონის ასამაღლებლად ქმედითი ნაბიჯები იდგმება. „აშშ-სთან თანამშრომლობით მოვითხოვეთ „ჯაველინების“ მეორე პარტიის შესყიდვაც, რაც გასულ წელს დაკმაყოფილდა. გაგზავნილია მოთხოვნა „ჯაველინების“ სისტემის მესამე პარტიის შესყიდვაზეც,“ - აღნიშნა მინისტრმა.

* * *

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში შვედეთის საგარეო პოლიტიკასა და საქართველოსთან ურთიერთობის საკითხებზე შვედეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ულრიკ ტიდესტრომს მოუსმინეს. დიპლომატმა საკუთარი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებზე, რუსეთ-უკრაინის ომსა და საქართველოსთან ურთიერთობებზე ისაუბრა. „ჩვენი პოლიტიკური ურთიერთობები არის უმაღლეს ნიშნულზე, რაც შეეხება ეკონომიკურ ურთიერთობას და ვაჭრობას, არის განვითარების ძალიან დიდი პოტენციალი, - განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ სამხარაძემ.

მოამზადა
ია შველიძემ

პაციენტი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრეპარატს უფასოდ მიიღებს 2

«მაიმუნის ყვავილის» ვირუსის ახალი სტატისტიკა 4

ბათუმის კერძო საბავშვო ბაღში 5 წლის ბიჭს თანატოლებმა სცემეს 4

წამლის ფასი საქართველოში და მისი გაიაფების შემდგომი პერსპექტივები... 5

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

მთავრობის თავმჯდომარე Sanko ჰოლდინგის ხელმძღვანელ პირებს შეხვდა

აჭარის მთავრობის მეთაური თორნიკე რიჟვაძე უმსხვილესი საინვესტიციო ჰოლდინგის Sanko-ს წარმომადგენლებს შეხვდა და რეგიონის ტურისტული და საინვესტიციო პოტენციალი გააცნო. Sanko 11 განსხვავებული ბიზნეს მიმართულებით, ერთ-ერთი უმსხვილესი ჰოლდინგია, რომელიც 100 წელზე მეტია მოღვაწეობს მსოფლიო მასშტაბით

შეხვედრაზე მთავრობის მიერ ინვესტორების მხარდასაჭერად შემუშავებული რიგი მექანიზმების შესახებ იმსჯელეს. აღინიშნა, რომ აჭარაში აქტიურად მიმდინარეობს საინვესტიციო პროექტების განხორციელება.

ანკა ჩხიკვაძე

შეხვედრა – აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს უცხოელი ექსპერტი სალვატორე კარფი ეწვია, რომელმაც სამინისტროს თანამშრომლებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული სოფლის განვითარების პოლიტიკის წარმართვის ინსტიტუციური და ფუნქციონალური მოდელები გააცნო

შეხვედრაზე განიხილეს სოფლის განვითარების ადგილობრივი პროექტების დასაშვებობის კრიტერიუმების და პროცედურების ევროკავშირის მოთხოვნებთან მისადაგების საკითხები. ექსპერტების ვიზიტი და სამუშაო შეხვედრები გაიმართა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით EN-PARD-ის პროგრამის ფარგლებში.

მერი სასპორტო სკოლის, კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელებს შეხვდა

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერმა ზაზა დიასამიძემ ა(ა)იპ-ების - სასპორტო სკოლის, კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელებთან სამუშაო შეხვედრა გამართა. განიხილეს მიმდინარე და განსახორციელებელი საკითხები. მერმა არსებულ საჭიროებებზე ინფორმაცია, ინდივიდუალურად ა(ა)იპ-ებში დასაქმებული თანამშრომლებისგან მოისმინა

ზაზა დიასამიძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია სპორტისა და კულტურული სფეროს ხელშეწყობა და ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს. მერი სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შედეგებით დაინტერესდა და მოუწოდა მათ, მეტი ენთუზიაზმით შეასრულონ დაკისრებული მოვალეობა.

ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებმა მიმდინარე პროგრამები მიმოიხილეს.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მსგავსი ტიპის შეხვედრები გრძელდება.

პაციენტი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრეპარატს უფასოდ მიიღებს

მაღალი ხარისხის ჯანდაცვაზე მაქსიმალური ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით და პაციენტთა საჭიროებების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ უპრეცედენტო პროექტი დაიწყო. „იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის“ სახელმწიფო პროგრამაში ცვლილებების შედეგად, ყველა პაციენტი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრეპარატს უფასოდ მიიღებს.

ბენეფიციარების უმეტესობისთვის, დაავადების მედიკამენტური მკურნალობა მაღალი ფასის გამო მიუწვდომელი იყო. სპინალურ - კუნთოვანი ატროფიის სამკურნალო პრეპარატის ერთი ფლაკონის ღირებულება 7485 დოლარია, რაც 12 დღის დოზას შეადგენს.

მედიკამენტის გამოყენება ხელს უწყობს სპინალური კუნთოვანი ატროფიის მქონე პაციენტების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდას.

მედიკამენტის გაცემის პროცედურა მარტივია - ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის გავლის შემდეგ, ბენეფიციარის წარმომადგენელი, პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე, აფთიაქში წამალს უფასოდ მიიღებს.

ანკა ჩხიკვაძე

რეზო ხარაზი აჭარის მთავრობას კორუფციაში ადანაშაულებს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ბათუმის საკრებულოს დეპუტატი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი რეზო ხარაზი აჭარის მთავრობას კორუფციაში ადანაშაულებს. მისი განცხადებით, ბათუმში გმირთა ხეივნის რეაბილიტაციისთვის 6 მილიონი ლარი გამოიყო, თუმცა სამუშაოები შეჩერებულია

რეზო ხარაზის თქმით, გაფლანგული თანხისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო, პროკურატურას წერილობით მიმართა და გამოძიებას სთხოვს.

- „2021 წლის აპრილში, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ დაიწყო პროექტი „განახლებული რეგიონები“. აჭარის მასშტაბით, 20 მილიონი ლარია გამოყოფილი, აქედან, დაახლოებით, 6 მილიონი ლარი ბათუმში გმირთა ხეივნის რეაბილიტაციისთვისაა. გმირთა ხეივნისთვის ახალი პროექტი გააკეთეს. ამ პროექტს თავიდანვე ვაპროტესტებდით, რადგან არ იყო საჭიროება. 6 მილიონი გამოყვეს და სამშენებლო სამუშაოები დაიწყეს. 2021 წლის 26 აპრილიდან ვადა 2023 წლამდე გააგრძელეს, უკვე მეორე ტურისტული სეზონია და ტერიტორია ჩაკეტილია, მოქალაქეები ვერ გადაადგილდებიან.

იხ. მე-5 გვ.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - ქობულეთში

ნათია იმნაიშვილმა 27 48 93

აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტი ქობულეთის მუნიციპალიტეტში კიდევ ერთი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს.

უსტალიშვილები-წყავროკის 2,6 კმ სიგრძის მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარს აგებენ.

პროექტის მიხედვით, მოეწყობა ბეტონის სანიაღვრე არხები, ქვედა და ზედა საყრდენი კედლები, გაბიონები, აშენდება ერთი ახალი ხიდი.

ხელოვნური ნაგებობების მოწყობის შემდეგ ორფენიანი ასფალტბეტონის საფარი დაიგება.

ამ ეტაპზე, ხორციელდება ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა.

პროექტი მიმდინარე წლის სექტემბრში უნდა დასრულდეს. აღნიშნული გზა უკავშირდება ლეღვასა და წყავროკის ადმინისტრაციულ ერთეულებს.

რეაბილიტირებული გზით კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას 80 ადგილობრივი ოჯახი შეძლებს.

ექსტრემისა და ადრენალინის მოყვარულთათვის

ბათუმთან ახლოს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელ კაპნისთავის კანიონი ტურისტების მისაღებად მზადაა. უჩხოს შემდეგ ეს რიგით მეორე კანიონია აჭარაში, სადაც აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ კანიონინგისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა მოაწყო.

სოფელი კაპნისთავი ულამაზეს ხეობაში ჩაფლული ჩანჩქერების სიუხვით, საცალფეხო ბილიკებით, ხელოვნურად შექმნილი აუზებით, საკემპინგე ადგილებით, სოფლის ცენტრში არსებული ღია მუზეუმით და უძველესი წისქვილებით გამორჩეული ტურისტული ადგილია.

აქ ექსტრემისა და ადრენალინის მოყვარულებს 600 მეტრი სიგრძის კანიონის დალაშქვრისას, 8 კასკადოვან ჩანჩქერზე თოკებით დაშვება შეუძლიათ, რომელთაგან ყველაზე მაღალი 35 მეტრია.

ახალი კანიონი აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მენეჯმენტმა კანიონერ გიდებთან და მედიის წარმომადგენლებთან ერთად დალაშქრა.

ანკა ჩხიკვაძე

„საქართველო უკეთეს დღეებს უნდა დაელოდოს“

24-25 ივნისს საქართველოს (უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად) ევროკავშირის წევრობის კანდიდატად მიღება-არმიღების აქტუალურ თემასთან ერთად ჩვენი ქვეყნის ისტებლიშმენტისა და მოქალაქეების მსჯელობის საგნად იქცა ევროპარლამენტის გუშინწინდელი რეზოლუციაც, სადაც ქვეყნის ხელისუფლებას მედიაზე ზეწოლაში ადანაშაულებენ

„საქართველოში მედიის თავისუფლების დარღვევებისა და ჟურნალისტების უსაფრთხოების გამოწვევების შესახებ“ - ასეთია ამ რეზოლუციის ფორმულირება, რასაც საქართველოში ხელისუფლების გარდა მოსახლეობის საკმაოდ მოზრდილი ნაწილიც არ ეთანხმება, მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც არჩევნებში ხმა „ქართული ოცნებისთვის“ არ მიუციათ, ანუ ეს ის შუალედური ამომრჩეველია, რომელსაც არც ოპოზიცია მოსწონს და არც პოზიცია.

რეზოლუციაში შევიდა ასევე ევროპარლამენტის ჯგუფების - „ევროპის სახალხო პარტიის“ (EPP), „განაახლე ევროპის“ (Renew Europe) და „ევროპის კონსერვატორები და რეფორმატორების“ (ECR) - შესწორება, რომელიც საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესების განხილვისკენ მოწოდებას შეიცავს.

ამ სამი ჯგუფის მიერ წარდგენილ შესწორებაში ვკითხულობთ: „ევროპარლამენტი გამოხატავს შეშფოთებას იმ დესტრუქციულ როლზე, რომელსაც ერთპიროვნული ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი თამაშობს ქართულ პოლიტიკასა და ეკონომიკაში, შეშფოთებას მთავრობასა და მის გადაწყვეტილებებზე გავლენის დონის გამო, მათ შორის ჟურნალისტებისა და პოლიტიკური ოპონენტების პოლიტიკურად მოტივირებულ დევნასთან დაკავშირებით“. აქვე გამოხატულია „ღრმა შეშფოთება“ ივანიშვილის კრემლთან კავშირებზე, რაც „განსაზღვრავს საქართველოს ამჟამინდელი მთავრობის პოზიციას რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების მიმართ“ და იქვე მოწოდებულია ივანიშვილისადმი პერსონალური სანქციების დაწესების განხილვა, საქართველოს პოლიტიკური პროცესების გაუარესებაში მისი როლის გამო.

დამატების პირველი ნაწილი ხელის აწევით, მეორე ნაწილი კი, რომელშიც ივანიშვილისთვის პერსონალური სანქციების დაწესების განხილვისკენაა მოწოდება, 308 ხმით - 218-ის წინააღმდეგ მიიღო ევროპარლამენტმა.

ამ მხრივ საინტერესოა **ბრიტანეთის სრულუფლებიანი ელჩის საქართველოში მარკ კლეიტონის** პასუხი კითხვაზე - აქვს თუ არა ბრიტანეთის დაზვერვას უკრაინის სადაზვერვო სამსახურის მსგავსი ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს საქართველოს მთავრობა რუსეთს სანქციების აცილებაში უწყობს ხელს? ელჩის შეფასებით საქართველო თავის როლს ასრულებს სანქციების იმ უპრეცედენტო პაკეტის დაცვაში, რომელიც დასავლეთმა რუსეთის წინააღმდეგ აამოქმედა.

„პირდაპირ პასუხს გაგცემთ - არა, არ გვაქვს. რა თქმა უნდა, რის გაკეთებასაც დიდი ბრიტანეთი, „დიდი შვიდეულის“, ევროკავშირის, ნატოს მოკავშირეებთან და სხვა პარტნიორებთან ერთად ცდილობს, არის რუსეთისთვის მაქსიმალური საფასურის დაწესება და ამ უკანონო ომის საწარმოებლად საჭირო პუტინის სამხედრო შესაძლებლობებისთვის დაფინანსების წყაროების გადაკეტვა. კონფლიქტის დაწყების შემდეგ, დიდმა ბრიტანეთმა რუსული ბანკებიდან 900 მილიარდ ფუნტზე მეტი აქტივები გაყინა. ჩვენ ვიმუშავეთ სხვებთან ერთად, რათა ისინი SWIFT-ის საერთაშორისო საბანკო სისტემიდან გამოგვერიცხა. ჩვენ გავყინეთ 260 000 000 ფუნტ სტერლინგზე მეტი უცხოური ვალუტის რეზერვი. გარდა ამისა, დავაწესეთ სანქციები 1600-ზე მეტი პირის წინააღმდეგ და შევზღუდეთ რუსეთთან ვაჭრობა კონკრეტულ სექტორებში. ეს ყველაფერი გამიზნულია ამ არაპროვოცირებული შეჭრის საფასურის დაწესებისა და პუტინის ომის მანქანისთვის სახსრების ჩამორთმევის მიზნით.

საქართველო თავის როლს ასრულებს ამ პაკეტში. მე გავეცანი მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას და სპეკულაციებს ამის შესახებ, მაგრამ ასევე ყურადღებას გავამახვილებ ფინანსთა მინისტრის განცხადებაზე. რაც ვნახე, საქართველოს ეროვნული ბანკი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საქართველო არ იყოს გამოყენებული რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ფინანსური სანქციების თავიდან აცილების ადგილად. ჩვენ ვნახეთ მართლაც სწრაფი ქმედება.

მაგალითად, „ვითიბი ბანკი“, სანქციების შესაბამისად, რამდენიმე დღეში დაიხურა. საქართველოს ბანკი და „თიბისი ბანკი“ ლონდონის საფონდო ბირჟაზე არიან წარმოდგენილნი და ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ფინანსური სანქციები უზრუნველყონ. დაბოლოს, როდესაც საქმე ეხება ვაჭრობასა და სანქცირებული საქონლის შეზღუდვებს, ვიცი, რომ ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტროსთან და თქვენს საბაჟო სამსახურთან ერთად, მუშაობს იმისთვის, რომ არ იყოს გაყონვა და ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმაც განაცხადა. ასე რომ, ვფიქრობ, ჩემი პასუხი არის ის, რომ არსებობს სანქციების უპრეცედენტო პაკეტი და გაერთიანებული სამეფო გააგრძელებს ჩვენს მოკავშირეებთან და პარტნიორებთან ერთად ამ ომის გამო პუტინისთვის უპრეცედენტო ხარჯების დაკისრებას. როგორც ვხედავ, საქართველო თავის როლს ასრულებს ამ სანქციების გატარებაში და, რა თქმა უნდა, ჩვენი იმედია, რომ საქართველოს მთავრობა გააგრძელებს ყველაფერს, რაც შეუძლია, რათა საქართველო არ გახდეს სანქციებისგან თავის არიდების ადგილი“, - აცხადებს მარკ კლეიტონი.

ევროპის სახალხო პარტიის ვიცე-პრეზიდენტი, ევროკავშირ-მოლდოვის დელეგაციის თავმჯდომარე ზიგფრიდ მურეშანი კი, მართალია, თვლის, რომ სამივე ქვეყნის (უკრაინა, საქართველო და მოლდოვა) გაწევრიანებაა აუცილებელი ევროკავშირში, უკრაინას უპირატესობას ანიჭებს იქ მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო, ხოლო მოლდოვაზე საუბრისას ხაზს უსვამს იქ გატარებული რეფორმების მეტ ქმედითობას საქართველოსთან შედარებით.

„ევროპარლამენტში ვთანხმდებით, რომ კანდიდატის სტატუსის სამივე მათგანისთვის მიცემას ვუჭერთ მხარს. ამათგან, უკრაინის მიმართ ერთგვარი ბონუს-სიმპათია არსებობს: გვესმის, რომ სანამ ჩვენ აქ ვმსჯელობთ, უკრაინის ხელისუფლება რუსეთის თავდასხმის მოგერიებითაა დაკავებული. მოლდოვას უნიკალური სიტუაცია აქვს: ბოლო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვეს პროევროპულმა ძალებმა. პროევროპულმა პარტიამ და პროევროპულმა პრეზიდენტმა დაამარცხეს პროორუსული პრეზიდენტი და პროორუსული პარტიები. რეფორმები, მათ შორის, მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი რეფორმა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ამას გარდა, მოლდოვა უშუალოდ ემეზობლება უკრაინას და შანსი მიეცა, ევროპისთვის ეჩვენებინა, როგორ უდგას მხარში მეზობელს: მოსახლეობასთან პროპორციულად, მოლდოვამ ევროპის მასშტაბით ყველაზე მეტი უკრაინელი დევნილი შეიფარა. საქართველოს მსგავსი შანსი არ მიეცა, უბრალოდ, გეოგრაფიის გამოც კი, ამიტომ მოლდოვა უფრო მეტ ქებასა და მოწონებას იღებს. და ჩვენ ასევე ვხედავთ, რომ რეფორმები უფრო მტკიცე, გადამწყვეტი ტემპით მიიწევს წინ. საქართველომაც ეს გზა უნდა გაიაროს - მედიის თავისუფლებისა და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების, კანონის უზენაესობის გზა. დასაკმაყოფილებელი პარამეტრები სამივე ქვეყნისთვის ერთია“, - ამბობს ზიგფრიდ მურეშანი.

ცნობილი ამერიკელი **სამხედრო სტრატეგი ედვარდ ლუტვაკი** კი გვირჩევს: „საქართველომ „ლოდინის თამაში“ უნდა ითამაშოს - განავითარეთ ქვეყანა და დაელოდეთ გეოპოლიტიკური სიტუაციის შეცვლას. საქართველოდან მანქანით სავალ მანძილზე დაახლოებით 27 ქვეყანა არსებობდა, რომლებიც დღეს აღარ არსებობენ. გაქრა მათი პოლიტიკური სტრუქტურა, კულტურა, ბუნება, ისინი გადაშენდნენ, საქართველო და სომხეთი გადარჩნენ, ისინი ისტორიას უძლებენ იმის გამო, რომ მწერალი ხალხია (Textual peoples)... დიახ, უკეთეს დღეებს უნდა დაელოდოთ“.



მოამზადა
მარი მიდასელმა

უცხოეთი

ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერები 23-24 ივნისს ბრიუსელში შეხვედრას მართავენ, სადაც საქართველო-უკრაინა-მოლდოვისთვის ბლოკის კანდიდატის სტატუსზე იმსჯელებენ. ამ დღეებში ევროპარლამენტში დაამტკიცეს ევროპარლამენტის ჯგუფების ლიდერების განცხადება, რომელიც ევროპულ საბჭოს სამივე ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებისკენ მოუწოდებს. „ჩვენ, ევროპარლამენტის პოლიტიკური ჯგუფების ლიდერები მივმართავთ სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურების 23-24 ივნისის შეხვედრას, მიიღონ გადაწყვეტილება უკრაინის, მოლდოვის და საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადებთან დაკავშირებით... ევროკავშირი უნდა იყოს სანდო პარტნიორი და სანდო გეოპოლიტიკური აქტორი“, - აღნიშნულია განცხადებაში.

* * *

გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს ყოველდღიური ანგარიშის თანახმად, უკრაინის ქალაქ მარიუპოლში ქოლერის აფეთქების საფრთხე არსებობს. „რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოსახლეობისთვის ძირითადი საჯარო სერვისების მიწოდებას ცდილობს, უსაფრთხო სასმელ წყალზე წვდომა არასტაბილურია, სატელეფონო და ინტერნეტსერვისებზე შეფერხებებია. ხერსონში, სავარაუდოდ, მედიკამენტების კრიტიკული დეფიციტია“, - აღნიშნულია ანგარიშში. გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციითვე, მარიუპოლში ქოლერის ცალკეული შემთხვევები მაისიდან ფიქსირდება და იმის გათვალისწინებით, რომ სამედიცინო სერვისები კოლაფსს უახლოვდება, დაავადება კიდევ უფრო გამძაფრდება.

* * *

დონეცკის თვითგამოცხადებული სახალხო რესპუბლიკის ე. წ. სასამართლომ ბრიტანეთის ორ მოქალაქეს და მაროკოს ერთ მოქალაქეს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. ე. წ. სასამართლომ სამივე სამხედრო „დაქირავებული მებრძოლების“ ბრალდებით გაასამართლა. „მკაცრად ვგმობ უკრაინის ოკუპირებულ ქალაქ დონეცკში გამოტანილ სიკვდილით დასჯის განაჩენს. სიკვდილით დასჯა შეუთავსებელია ადამიანის ღირსებასთან და წარმოადგენს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. მისი ადგილი ევროპის კონტინენტზე არ არის“, - განაცხადა გადაწყვეტილების კომენტირებისას ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა მარია პეიჩინოვიჩ ბურიჩმა.

* * *

პოლონეთის პრეზიდენტი ანჯეი დუდა, უკრაინის ომის გამო შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის მიზნით, რუსეთის პრეზიდენტთან წარმოებულ მოლაპარაკებებს აკრიტიკებს და აცხადებს, რომ ეს უსარგებლოა. „გაოცებული ვარ ყველა მოლაპარაკებით, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს პუტინთან კანცლერ შოლცისა და პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის მიერ... ვინმე ელაპარაკებოდა ასე ადოლფ ჰიტლერს მეორე მსოფლიო ომის დროს? ვინმე ამბობდა, რომ ჰიტლერს სახე უნდა შეენარჩუნებინა, ისე მოვიქცეთ, რომ ეს არ იყოს დამამცირებელი ადოლფ ჰიტლერისთვის? არ შეიძლება ისეთი შეთანხმების მიღწევა, რომელსაც უკრაინის მთავრობა არ ეთანხმება“, - აღნიშნა პოლონეთის პრეზიდენტმა.

მოამზადა
ია შველიძემ

„ტრაილერებისთვის გადასახადის ზრდა ჩვენი დერეფნის მიმზიდველობას შეამცირებს“

სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრის დირექტორ პაატა ცაგარეიშვილის აზრით, სატრანზიტო ტრაილერებისთვის გზათსარგებლობის მოსაკრებლის 200 ლარიდან 350 ლარამდე გაძვირებამ შესაძლოა, ქვეყნის სატრანზიტო დერეფნის მიმზიდველობა შეამციროს და კონტრპროდუქტიული ეფექტი იქონიოს. ამის შესახებ ცაგარეიშვილმა „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა.

„ახლა საქართველო ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ ტრაილერების 25-30-კილომეტრიანი რიგებია. სახელმწიფომაც ეს დაინახა და ჯერ პარკის გადასახადი 30-დან 80 ლარამდე გაზარდა ისე, რომ არანაირი გაანგარიშება არ გაუკეთებია, ახლა კიდევ გზათსარგებლობის საფასური... ბუნებრივია, გადასახადების ზრდა მეწარმე-გადამზიდველებს აწვებათ ზურგზე.

რატომ 350 და არა უფრო მეტი ან ნაკლები? ახალი ტარიფი არანაირ ეკონომიკურ გაანგარიშებას არ ექვემდებარება და გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც ტვირთნაკადები თავის კუთვნილ ადგილს დაიჭერენ დერეფენებში, შესაძლოა, კონტრპროდუქტიულიც იყოს და შეამციროს დერეფნის მიმზიდველობა და კონკურენტუნარიანობა“, - ამბობს პაატა ცაგარეიშვილი. მისი თქმით, არსებული გადასახადი ევროპის რიგი ქვეყნების მიერ დაწესებულ გადასახადზე დაახლოებით 5-ჯერ, რეგიონის ქვეყნების გადასახადზე კი თითქმის 3-ჯერ მეტია.

„ხომ არ გამოიწვევს ეს უკუეფექტს, ხომ არ გაგვიზრდიან სხვა ქვეყნებიც გადასახადს და ამით დავამძიმებთ ჩვენი სატრანსპორტო დერეფნის კონკურენტუნარიანობას? ტარიფების და გადასახადების ზრდის ბრძოლაში გაუზარდა ირანმა თურქეთს გადასახადი 500 დოლარამდე და ანალოგიურად მოიქცა თურქეთიც. სწორედ მაღალი გადასახადების გამო ამ დერეფნით იშვიათად სარგებლობენ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დერეფანზე ბევრად უფრო ხელსაყრელია, ტრასებიც უკეთესია და გადაზიდვაც - მარტივი.

350 ლარი ძალიან მაღალი გადასახადია. გამოდის, რომ 1 კილომეტრზე გადასახდელი იქნება 80 თეთრი, რაც 27 ამერიკული ცენტს უდრის. ეს გადასახადი აღემატება ევროპის თუ რეგიონის ქვეყნების საფასურს, მაგალითად, უნგრეთში გზათსარგებლობის საფასური 19 ცენტია, უკრაინაში - 7 ცენტი და ასე შემდეგ“, - განუცხადა ცაგარეიშვილმა „ბიზნესპრესნიუსს“.

ცნობისთვის: გზათსარგებლობის საფასური საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში სავალდებულო გადასახდელია, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო ინფრასტრუქტურის უტილიზაციისათვის გადაიხდება.

ამირან გურიელიძე

ბათუმის კერძო საბავშვო ბაღში 5 წლის ბიჭს თანატოლებმა სცემეს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

,,ყველა ბავშვი მზეაო, რომ წერთ, ჩემს შვილს რატომ ჩაუქრეთ მზის სხივი?“ - წერს სოციალურ ქსელში 5 წლის ბიჭის დედა, რომელმაც ბათუმის ერთ-ერთი კერძო საბავშვო ბაღის ვიდეომასალა გამოაქვეყნა. კადრში კარგად ჩანს, რომ საბავშვო ბაღში პატარას რამდენიმე თანატოლი ფიზიკურად უსწორდება და ოთახში ამ დროს არც პედაგოგია და არც ძიძა. „ძნელია იყო ემიგრანტი დედა, გენატრებოდეს შვილი, რთავდე კამერას და ხედავდე, როგორ ურტყამენ შენს შვილს, ამ დროს კი ვერაფერს აკეთებ, ვერ შველი. მაპატიე რატი, მეგონა, მაქსიმუმს ვაკეთებდი შენთვის, მაგრამ მაპატიე, რომ დღეს ვერ გიკრავ გულში და ვერ გეფერები, ზუსტად ამ ბაღში დაგტოვე, დე, ბოლო დღეს ამ ბაღში მოგაკითხე, ჩაგიკარი გულში და დაგემშვიდობე, ვერც კი გავბედე მეთქვა, რომ შორს მივდიოდი, ვიცოდი, ძალიან განიცდიდი ამ ყველაფერს. მაპატიე... „მადაგასკარის“ დირექტორს მივმართავ, თავის მართლებისთვის გცალიათ? ძალიან სამარცხვინოა უკვე ეს საქციელი, იქნებ ბოდიში მოგეხადათ, თქვენი დაუდევრობის გამო, ჩემს შვილს რომ ჯანმრთელობის პრობლემა შექმნოდა, რას აპირებდით? ხმა არც კი ამოგეღებათ! ორივემ ვიცით, რომ ეს ფაქტი პირველი არ იყო“. - ამბობს ბავშვის მშობელი მარი გოგიტიძე.

ქალბატონი მარი, როგორც თავად ამბობს, იტალიაშია, თუმცა საბავშვო ბაღის ვიდეოთვალთან აქვს წვდომა და ასე აკვირდება შვილს. მისივე თქმით, ეს არ არის პირველი შემთხვევა, რადგან ძიძები აუდიტორიას ხშირად ტოვებენ უყურადღებოდ. ის ამბობს, რომ ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით არაერთხელ ესაუბრა საბავშვო ბაღის ხელმძღვანელობას, თუმცა მათ მსგავსი ფაქტები ვერ აღკვეთეს. „ჩემი შვილი თავს ვერ იცავს, ყოველდღე ორი საათით გადის ფსიქოლოგთან და ლოგოპედთან, სჭირდება დახმარება, უფრო მეტად რომ შევიდეს კონტაქტში ბავშვებთან. აქედან გამომდინარე, უფრო იჩაგრება. ეს ყველაფერი არის ძიძების და დირექტორის ბრალი: ისინი უყურადღებოდ ტოვებენ ბავშვებს და ჩემს შვილს აჩაგვრინებენ. მეუბნებიან, რომ ბავშვებმა იხუმრეს. რაიმე დაზიანება რომ მიეღო ჩემს შვილს, ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი? მე ამ შემთხვევას აღარ ვაპატიებ ბაღს, ძალიან მინდა ყველა კომპეტენტური პირი გვერდით დამიდგეს, რომ შევძლო ჩემი შვილის უსაფრთხოების დაცვა. აქამდეც ვაპირებდი ბავშვის გადაყვანას, მაგრამ შემაჩერეს, მითხრეს, რომ მოაგვარებდნენ პრობლემას. ვერ მოაგვარეს. ძალიან მეშინია, რადგან მე არ ვარ საქართველოში. პირველი ორი შემთხვევის შესახებ არავის გავაგებინე. ვფიქრობ, ახლა უნდა ჩაერთონ შესაბამისი უწყებები ამ საქმეში, რადგან შესაძლოა, იმ ბავშვებსაც სჭირდებათ ფსიქოლოგიური დახმარება. ჩემმა შვილმა დიდი სტრესი მიიღო“, - ამბობს დედა.

> *ის ამბობს, რომ ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით არაერთხელ ესაუბრა საბავშვო ბაღის ხელმძღვანელობას, თუმცა მათ მსგავსი ფაქტები ვერ აღკვეთეს. „ჩემი შვილი თავს ვერ იცავს, ყოველდღე ორი საათით გადის ფსიქოლოგთან და ლოგოპედთან, სჭირდება დახმარება, უფრო მეტად რომ შევიდეს კონტაქტში ბავშვებთან. აქედან გამომდინარე, უფრო იჩაგრება*

საბავშვო ბაღ „მადაგასკარის“ ხელმძღვანელ ნინო ბერიძის თქმით, ადრე ბავშვის ცემის შემთხვევა არ ყოფილა.

„მის ადგილას მეც რომ ვყოფილიყავი, ანალოგიური რეაქცია მექნებოდა. უბრალოდ, ჯგუფის პედაგოგი გახდა შეუძლოდ, გამოვიყვანეთ ჯგუფიდან, შვიდის ოცი წუთი იყო უკვე, ბავშვების გაყვანის დრო და პედაგოგის თანაშემწემ გამოუყვანა ბავშვი ერთ-ერთ მშობელს, ამ ერთი წუთის შუალედში მოხდა ეს ინციდენტი“, - ამბობს დირექტორი.

როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს, თუმცა რა მუხლით, ჯერჯერობით სამართალდამცავ უწყებებს განცხადება არ გაუკეთებიათ.

„მაიმუნის ყვავილის“ ვირუსის ახალი სტატისტიკა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, მიმდინარე წლის 13 მაისიდან მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში „მაიმუნის ყვავილის“ 700-ზე მეტი შემთხვევა გამოვლინდა, ინფიცირებულთა რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო კვირაში.

29 მაისის შემდეგ, „მაიმუნის ყვავილით“ ინფიცირებულთა (ლაბორატორიულად დადასტურებული) რაოდენობა 523 კაცით გაიზარდა. მაისის ბოლოს მსოფლიოში სულ 257 შემთხვევა იყო რეგისტრირებული. ამასთან აღინიშნება, რომ არაენდემურ ქვეყნებში „მაიმუნის ყვავილით“ გარდაცვალების არცერთი შემთხვევა არ გამოვლენილა, ენდემური ქვეყნებისგან განსხვავებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში „მაიმუნის ყვავილის“ ვირუსის 2 სავარაუდო შემთხვევა გამოვლინდა, თუმცა, როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა, აქედან ერთი შემთხვევა უარყოფითია, ხოლო მეორის გამოკვლევა კვლავ გრძელდება.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ინფექციონისტ **მაია ბუწაშვილს** *რამდენიმე თაც. გასულ წლებში „ყვავილის“ საწინააღმდეგო ვაქცინის და ანტივირუსული მედიკამენტების დარეგისტრირების ერთ-ერთი მიზეზი, სავარაუდოდ, ყვავილის, როგორც ბიოლოგიური იარაღის, არსებობა იყო. 2019 წელს უშუალოდ „მაიმუნის ყვავილის“ საწინააღმდეგო ვაქცინაც დარეგისტრირდა.*

- გერმანიამ შეუკვეთა 40 000 დოზა ყვავილის ვაქცინა, რომელიც ასევე ეფექტურია „მაიმუნის ყვავილის“ წინააღმდეგ. აშშ-ში მილიონობით დოზის მარაგი შექმნეს. ამ პრეპარატის პერორალური ფორმა რამდენიმე წლის წინ დამტკიცდა. ამჟამად ინტრავენური ფორმა შეიქმნა იმ პაციენტებისთვის, ვისაც ყლაპვა არ შეეძლება. ადამიანთა ის ნაწილი, ვინც 80-იან წლებამდე „ყვავილის“ საწინააღმდეგოდ იყო აცრილი, მაღალი ალბათობით, იმუნურია მაიმუნის ყვავილის მიმართ. ლი პირდაპირ კავშირში არ არის ჩვეულებრივი „ყვავილის“ ვირუსთან, ორივე მათგანი ვირუსების ერთსა და იმავე ტიპს მიეკუთვნება. სწორედ ამიტომ, მათი მსგავსება საკმარისია იმისთვის, რომ იმუნურმა სისტემამ ინფექციას წინააღმდეგობა გაუწიოს. როგორც ცნობილია, ჩვეულებრივი „ყვავილი“ მთელ მსოფლიოში 1980 წლისთვის სწორედ ვაქცინაციის მასობრივი კამპანიის წყალობით აღმოიფხვრა. თუმცა რობერტ კოხის ინსტიტუტის მონაცემებით, მსოფლიოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი „ყვავილის“ წინააღმდეგ აცრილი აღარ არის. აუცილებლად უნდა ვერიდოთ იმ ცხოველებთან კონტაქტს, რომლებიც შესაძლოა იყვნენ ვირუსის გადამტანნი; უნდა ვერიდოთ შეხებას ისეთ ნივთებთან, რასთანაც დაავადებული ცხოველი იყო ახლო კავშირში; ინფიცირებული პაციენტები უნდა მოვარიდოთ სხვებს; ინფიცირებულ ცხოველთან და ადამიანთან კონტაქტის შემთხვევაში ხელები კარგად უნდა დავიმუშავოთ და გამოვიყენოთ სანიტაიზერი; ინფიცირებულების მოვლისას გამოვიყენოთ სპეციალური აღჭურვილობა.

> *აუცილებლად უნდა ვერიდოთ იმ ცხოველებთან კონტაქტს, რომლებიც შესაძლოა იყვნენ ვირუსის გადამტანნი; უნდა ვერიდოთ შეხებას ისეთ ნივთებთან, რასთანაც დაავადებული ცხოველი იყო ახლო კავშირში; ინფიცირებული პაციენტები უნდა მოვარიდოთ სხვებს; ინფიცირებულ ცხოველთან და ადამიანთან კონტაქტის შემთხვევაში ხელები კარგად უნდა დავიმუშავოთ და გამოვიყენოთ სანიტაიზერი*

კითხვით მივმართეთ

- ქალბატონო მაია, როგორია „მაიმუნის ყვავილის“ ვირუსის ბოლო სტატისტიკა?

- დღეისათვის 700-ზე მეტი შემთხვევაა რეგისტრირებული ევროპის 27 ქვეყანაში: აშშ, კანადა, ავსტრალია, არაბეთის გაერთიანებული ემირატები... ბოლო კვირის განმავლობაში სამ ახალ ქვეყანაში - ჩეხეთში, სლოვენიასა და ემირატებში პირველი შემთხვევები დაფიქსირდა. დაავადების 207 შემთხვევაა დიდ ბრიტანეთში, 156 - ესპანეთში, 138 - პორტუგალიაში, 58 - კანადაში და 57 - გერმანიაში.

- „ყვავილის“ ვაქცინაზე რას გვეტყვით?

- დიახ, განსაკუთრებით ხშირია ყელის ტკივილი, სიცხე, კუნთების ტკივილი. სიმპტომები გრძელდება დაახლოებით 5-7 დღე, თუმცა ზოგჯერ ხანგრძლივდება. ბევრი შეშინებულია ამ სიმპტომებით და ამის გამო უამრავ გაურკვეველ კვლევას იტარებს და ასევე გაურკვეველ მედიკამენტებს იღებს. დაავადებათა კონტროლის ცენტრი პერიოდულად აქვეყნებს, სასუნთქი გზების ინფექციების გამომწვევი რომელი მიკროორგანიზმებია იმ ეტაპისთვის გავრცელებული ჩვენს ქვეყანაში. ბოლო ინფორმაცია მაისის შუა რიცხვებისაა და ვხედავთ, რომ კვლავ ცირკულირებს სეზონური გრიპის ვირუსები (სიმპტომების მქონეთა 35%-ზე მეტს გრიპი აქვს), რინოვირუსები (რომლებიც, ძირითადად, სურდოს და ზემო სასუნთქი გზების სხვა სიმპტომებს იწვევენ), ადენოვირუსები (რომლებსაც ასევე შეიძლება ახასიათებდეს დიარეა და კონიუნქტივიტი), რესპირატორულ-სინციტიური ვირუსი (განსაკუთრებით მძიმედ მიდის ჩვილ ბავშვებში და ხანდაზმულებში, შეიძლება გართულდეს ქვედა სასუნთქი გზების დაზიანებით) და სხვა ვირუსები. რეალურად ამ ინფექციების პერიოდული აფეთქებები ყოველთვის იყო და ეს ახალი არ არის, უბრალოდ, კოვიდის შემდეგ ამ ტიპის დაავადებებზე განსაკუთრებული შფოთვა და ყურადღება აღინიშნება. რამდენიმე შეშინებულმა მშობელმა მოგვმართა იმასთან დაკავშირებით, რომ ბავშვს ჰქონდა გამონაყარი, განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევდა ხელის და ფეხისგულებზე გამონაყარი (რადგან ხშირად ისმის, რომ „მაიმუნის ყვავილს“ ახასიათებს), თუმცა ეს სიმპტომები ახასიათებს ე.წ. ხელის, ფეხის და პირის ღრუს დაავადებას, რომელსაც იწვევს კოქსაკის ვირუსი (მიეკუთვნება ენტეროვირუსების ჯგუფს). აქვე კიდევ ერთხელ დავაკონკრეტებ, რომ ენტეროვირუსებს ჩვენთან არასწორად უწოდებენ დიარეის გამომწვევ მიკროორგანიზმებს, ანუ დიარეის შემთხვევაში ამბობენ, „ენტეროვირუსი“ აქვს, რაც სრულიად არასწორია, რადგან ენტეროვირუსები, სინამდვილეში, სრულიად სხვა ჯგუფია. არსებობს ცხვირ-ხახის ნაცხის პისიარ გამოკვლევა (კოვიდის პისიარს არ ვგულისხმობ, ცხადია) 21 პათოგენზე, რომლითაც ზუსტად შეიძლება იდენტიფიცირება, რომელი მიკროორგანიზმი იწვევს სასუნთქი გზების სიმპტომებს. თუმცა ამ ვირუსებს შორის რომელი აქვს ადამიანს, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მკურნალობა არცერთს არ სჭირდება და რჩევები ყველა მათგანის შემთხვევაში იგივეა - მოვერიდოთ გარშემომყოფებს, მივიღოთ სითხე, საჭიროების შემთხვევაში სიცხის დამწევი და ტკივილგამაყუჩებელი. უკვე გაცვეთილი ფრაზაა და ყველამ იცის, მაგრამ აქტუალურია და მაინც გავიმეორებ: ანტიბიოტიკები ვირუსებზე არ მოქმედებს და მათი ჩართვა მხოლოდ ბაქტერიული ინფექციების დროს არის საჭირო! ჯანმრთელობას და სიმშვიდეს გისურვებთ.

- ბოლო კვირების განმავლობაში ბევრი ადამიანია ავად სასუნთქი გზების ინფექციების სიმპტომებით, ამაზე რას გვეტყვით?

წამლის ფასი საქართველოში და მისი გაიაფების შემდგომი პერსპექტივები...

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

სწორედ ეს მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს ა(ა) იპ აჭარის ექიმთა გაერთიანებული საზოგადოებისა და აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის გამგეობების პირველ ერთობლივ სხდომაზე. მას აჭარის ექიმთა გაერთიანებული საზოგადოების თავმჯდომარე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აპაკი ბერიძე უძღვებოდა

რა პრობლემები გამოიკვეთა ამ სფეროებში დასაქმებულთათვის? თერაპიული პროფილის საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორმა სოფიო ბერიძემ ელექტრონული რეცეპტის სისტემის პრაქტიკულად განხორციელებაზე, რეალობასა და პერსპექტივაზე ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, ის, რასაც ექიმები წლების განმავლობაში უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ, ორ აქტივობას შეიცავს: ერთია ოპერირება, ინტერვენცია და მეორე - წამლით მკურნალობა. ექიმი ფარმაკოლოგიას მეოთხე-მეხუთე სემესტრში სწავლობს და ამის შემდგომ ამ პროდუქტებს ეცნობა იმით, რასაც ფარმაცევტები სთავაზობენ.

- ამ მიმართულებით არ არსებობს პოსტდიპლომური უწყვეტი განათლება. ამიტომაცაა, რომ ბევრი წამლის შემადგენლობა არ იცის ექიმმა, მისი ცოდნა კარგია, მაგრამ ამის შესწავლას ვერ დაავალებ. არადა, რეალურად ესეც ერთ-ერთი პრობლემაა. ვფიქრობ, რომ ელექტრონული რეცეპტებით სახელმწიფო სწორ ნაბიჯებს დგამს, თუმცა ამის შესახებ ბრძანება არ არის ახალი, იგი 2009 წელს გამოიცა, 2015 წელს დამუშავდა და დღეს შევიდა აღსრულებაში. თუმცა, დღემდე ელექტრონულად ბევრი რეცეპტი იწერება. თუ არ ვუწერთ პაციენტს რეცეპტს, ისიც არ გვთხოვს. ამით ვხვდებით, რომ მასაც აფთიაქში არ სთხოვენ, ესე იგი, ეს საქმე ისევ ქაღლდზეა. მეორეც, ექიმებში ერთგვარ პროტესტს იწვევს ის, თუ რატომ უნდა გადაწყვიტოს ფარმაცევტმა, რომელი წამალი შეიძინოს პაციენტმა. თუმცა ამას ფარმაცევტი არ წყვეტს, ის ჩვენ მიერ დანიშნულ საერთაშორისო დასახელების სამ ეკონომიურ წამალს - ალტერნატივას სთავაზობს. ეს პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე. რატომ არ გამაცნეს მე, როგორც ექიმს, რა შესთავაზეს? შესაძლოა, მან ისეთი შესთავაზოს, რაც მის (აფთიაქის) ინტერესებში შედის. ამას სახელმწიფო უნდა არეგულირებდეს. ჩვენ რატომ ვამბობთ, რომ ესა თუ ის წამალი არ ვარგა, თუ იგი უკვე რეგისტრირებულია ლაბორატორიის მიერ? დღევანდელი შეხვედრა არ არის რაიმე პროტესტის გამოხატვა, გვინდა ექიმებსა და ფარმაცევტებს შორის დაიწყოს დიალოგი. აქ არის „ჰეკატე“, სხვა აფთიაქები, რომელიც წლებია მუშაობენ და მათ სათავეშიც ისეთი ადამიანები არიან, რომლებმაც ზუსტად იციან, რა არის ბიოეკვივალენტობა და შესაბამისად, იზრუნებენ აფთიაქის ხარისხზე, მე კი უფრო თამამად შემეძლება მათთან თანამშრომლობა. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ახლა რაც ბაზარზე ფარმაცევტულ კომპანიებსა და ექიმებს შორის ხდება, არის ძალიან მახინჯი თანამშრომლობა. სარგებლობენ რა ექიმების (ზოგჯერ) დაბალი კომპეტენციით იმ მიმართულებით, რომ ის ზუსტად ვერ განსაზღვრავს წამლების ვარგისიანობას, შესაძლებელია, ერთი და იგივე კომპანიამ ექიმს შესთავაზოს ხუთი ანტიბიოტიკი, დააინტერესოს ხუთივეს დანიშვნით, მაშინ როცა, ორი ანტიბიოტიკი რომ ინიშნება ერთად, უკვე ესეც ძალიან ცუდია (თუმცა გამონაკლის შემთხვევაში ანტიბიოტიკების კომბინაციაც კი კეთდება). რაში ვხედავთ გამოსავალს? ყველაფერი ეს რომ სიტყვად არ დარჩეს, ამ მიმართულებით მოძრაობა უნდა გაგრძელდეს. უნდა გავერთიანდეთ ექიმები და ფარმაცევტები, გავაგრძელოთ დისკუსიები. კარგი იქნება თუ ჩვენი ასოციაციის სახელით მოვიწყობთ ადაპტირებულ-კლინიკური ფარმაკოლოგიის პოსტდიპლომურ კურსს. ეს რთული გზაა, მაგრამ ღირს. ძალიან კარგი იქნება, თუ მოვაწყობთ კლინიკური ფარმაციის ხანმოკლე კურსს პრაქტიკოსი ექიმებისთვის. ჩვენ ხომ არ ვსაუბრობთ ნანოტექნოლოგიაზე, ვსაუბრობთ საბაზისო განათლებაზე. ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლებს სჭირდებათ ექიმებთან ადაპტირება. ახალგაზრდა თაობა წამოვიდა და მეტი კომუნიკაციაა საჭირო მათთან ფარმაცევტების მხრიდან. ძალიან ძნელია, ექიმმა თან პაციენტი გულისყურით გასინჯოს, თან ელექტრონული რეცეპტი შეავსოს, ეს ძალიან შრომატევადი საქმეა, - აღნიშნა სოფიო ბერიძემ.

> ***„სარგებლობენ რა ექიმების (ზოგჯერ) დაბალი კომპეტენციით იმ მიმართულებით, რომ ის ზუსტად ვერ განსაზღვრავს წამლების ვარგისიანობას, შესაძლებელია, ერთი და იგივე კომპანიამ ექიმს შესთავაზოს ხუთი ანტიბიოტიკი, დაინტერესოს ხუთივეს დანიშვნით, მაშინ როცა, ორი ანტიბიოტიკი რომ ინიშნება ერთად, უკვე ესეც ძალიან ცუდია (თუმცა გამონაკლის შემთხვევაში ანტიბიოტიკების კომბინაციაც კი კეთდება). რაში ვხედავთ გამოსავალს?***

ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის თავმჯდომარე ვლადიმერ მახარაძემ ისაუბრა წამლის ფასზე საქართველოში და მისი გაიაფების გზებზე, აღნიშნა, რომ გაერთიანებული საზოგადოების და აჭარის ფარმაცევტთა ასოციაციის გამგეობების ერთობლივი სხდომა ტარდება პირველად, რაც ბატონ აკაკი ბერიძის იდეა იყო.

- ერთობლივი სხდომის ჩატარება, აზრის გაზიარება ყველას ძალიან მოგვეწონა, რადგან ეს საკითხი აუცილებლად უნდა იყოს განხილული პროფესიულ წრეებში. გვაქვს ერთიანი ხედვა, რომ შევთავაზოთ იაფი მედიკამენტები, რატომ ვუშვებთ გამონაკლისს? ჩვენი ინიციატივაა, რაც შეიძლება ინტენსიურად მუშაობდეს პოსტდიპლომური განათლების კურსები, რათა საერთო ჯამში, ყველა ვსაუბრობდეთ ერთ ენაზე, ტერმინოლოგია იყოს შეთანხმებული, გამოიკვეთოს საერთო მიზანი, რომ პაციენტს მოვუტანოთ შვება და არა ზიანი. განვიხილეთ ორი ძალიან სერიოზული საკითხი, ერთია ელექტრონული რეცეპტი, მისი რეალურად დღეს ამოქმედების მდგომარეობა და პერსპექტივა და მეორე, წამლის ფასი საქართველოში და მისი გაიაფების შემდგომი პერსპექტივები, თუნდაც თურქეთიდან იმპორტთან კავშირში. ელეტრონული რეცეპტი სავალდებულო გახდა მიმდინარე წლის 11 აპრილიდან, მაგრამ, შეიძლება ითქვას, იგი არ ამუშავდა, რადგან ამისთვის დრო არ დარჩა საკმარისი. ძალიან ცოტაა ელექტრონული რეცეპტი. ასეთი რეცეპტი ზოგიერთ აფთიაქში საერთოდ არ შედის და იგი დგება ალტერნატივის წინაშე, ან უნდა დახუროს აფთიაქი ან გაყიდოს ურეცეპტოდ. ცხადია, ამას უმრავლესობა ვერ იზამს (ვალდებულებები, კრედიტები აქვს) და წავიდა მეორე გზით - ყიდის ურეცეპტოდ. ამ რამდენიმე ხნის წინ ჩამოვიდა მარეგულირებელი კომისია და ყველა ასეთი აფთიაქი დააჯარიმა. ექიმმა რომ ელექტრონული რეცეპტი გამოწეროს, მის სამუშაო ადგილზე უნდა იყოს კომპიუტერი, ინტერნეტი... მეორეც, გამოწერას, მის გაფორმებას, საკმაოდ დიდი დრო მიაქვს. ეს ითხოვს, რომ ყველა ექიმს ჰყავდეს თანაშემწე, რომელიც ამ საქმეს მოაშორებს, რაც დიდი ფუფუნებაა. ექიმის მთელი ყურადღება მიდის გაფორმებაზე, რეცეპტის შევსებაზე და ამასობაში, ავადმყოფისთვის ცოტა დრო რჩება. რეცეპტი რომ აფთიაქში მიდის, ელექტრონულ სივრცეში მის ძებნას დიდი დრო სჭირდება. ზოგჯერ ინტერნეტი არ მუშაობს გამართულად და აქაც დრო დაიკარგა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოფლის აფთიაქებში ინტერნეტი არ არის, რა თქმა უნდა, მოვა დრო და ეს ყველაფერი დალაგდება, მაგრამ მთლიანად სისტემა, ჯერჯერობით, არ აღმოჩნდა მზად ელექტრონულ რეცეპტზე სრულყოფილად გადასასვლელად. ისიც უნდა ვთქვათ, რომ საერთოდ, ელექტრონულ რეცეპტს ბევრი დადებითი აქვს, მათ შორის ის, რომ წამლის სწორად დანიშვნაზე და ფარმაკოთერაპიაზე მონიტორინგის ჩატარებას შეუწყობს ხელს, ანუ ეს ანონიმურობას გამორიცხავს. ექიმი, რომელიც ელექტრონულად გამოწერს წამალს, უკვე იშიფრება. ზოგჯერ ავადმყოფს რომ ბევრ წამალს უნიშნავენ, ესეც კონტროლირებადი გახდება, კიდევ არაერთი პროცესი იქნება გამჭვირვალე. ცუდია, რომ დღესდღეობით, ჩვენს ქვეყანაში წამლის კონტროლი, მონიტორინგი, როგორც ეს ევროპაშია, არ დაინერგა, არ არის აღრიცხვა ვინ ავადდება წამლით, ვინ კვდება, არადა, ქვეყანაში წამლისმიერი გართულებების და დაავადებების დიდი რიცხვია.

ელექტრონული რეცეპტის დანერგვის, მისი გამოყენების, საერთოდ ამ სისტემის წინააღმდეგი კი არ ვართ, ეს სწორი მიმართულებაა, პროგრესი, მაგრამ დამატებით უნდა გატარდეს ისეთი ღონისძიებები, რომ ყველგან ერთნაირად ამოქმედდეს იგი - ქალაქსა თუ სოფელში. ვფიქრობ, ეს დრო, გარდამავალი ეტაპივით, კიდევ უნდა გაგრძელდეს. იურიდიულად სამინისტროს ვერ შეედავები - დრო იყო მოცემული, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. მეორეც, წამლის გაიაფებისთვის მხოლოდ თურქეთიდან მისი იმპორტი საკმარისი არ არის, თუმცა, უდავოდ დადებითი როლი შეასრულა ამ პროცესმა. ჯერჯერობით, დაახლოებით 60 დასახელებაზეა საუბარი. პირველ რიგში, უნდა მოვიკითხოთ, როგორ შეძლო თურქეთმა წამლების გაიაფება. აქ არის უნივერსალური პასუხი - წამლის ფასის სახელმწიფოებრივი რეგულირებით. აქ საუბარია მხოლოდ ესენციალურ, ანუ სასიცოცხლოდ აუცილებელ წამლებზე, რომელიც შეადგენს დაახლოებით 325 დასახელებას. თუ ასეთი წამლების ფასს სახელმწიფო ვერ დაარეგულირებს, მის გარეშე ადამიანი რჩება „გამოჭერილი“ - იძულებულია თავად შეიძინოს იმ ფასად, რომელსაც აფთიაქი სთავაზობს. დავეხმაროთ მათ და 10 ლარის ნაცვლად არ გადავახდევინოთ 200 ლარი. აი, ესაა მთელი „ფილოსოფია“, - აღნიშნა ვლადიმერ მახარაძემ.

შპს „რუთამენის“ დირექტორი ამირან მახარაძე ამბობს, რომ პრემიერის ინიციატივით თურქეთის რესპუბლიკის პარალელური იმპორტის ქვეყნებში ჩასმამ, დიდი შეღავათი გაუწია საზოგადოებას.

- მე შევძელი 60-მდე დასახელების მედიკამენტის შემოტანა, რომლის ფასი რადიკალურად განსხვავდება ყოფილისგან, - მინიმუმ 50-70-პროცენტიანი სხვაობაა. მიკვირს, პაციენტები დღემდე ჩივიან, ქსელურ აფთიაქებში წამალს გაცხადებული ფასებით ვერ ვყიდულობთო. მინდა მივმართო მოსახლეობას, რომ გარდა ქსელურისა, ბათუმში შედარებით პატარა, უამრავი კერძო აფთიაქია, როგორიცაა, მაგალითად შპს „რუთამენი“, შპს „ჰეკატე“, შპს „იმპულსი“, რომელიც უშუალოდ მე უზრუნველვყავი შემოტანილი მედიკამენტებით. ძირითადად, გულსისძარღვთა სისტემის, ასევე დიაბეტური პრეპარატებით და მიმართონ მათ. კარგია, რომ მთავრობა ცდილობს ქვეყანაში წამლის ფასების დაწევას, ეძებს ამის გზებს. მაგრამ, მან თავისი ეს ნაბიჯი უნდა დაიცვას ხშირი მონიტორინგით, ფასების კონტროლით, რათა ვიღაცას არ გაუჩნდეს ცდუნება, რომ იგი ისევ მონოპოლიურ ფასებზე დააბრუნოს, - თქვა ამირან მახარაძემ.

რეზო ხარაზი აჭარის მთავრობას კორუფციაში ადანაშაულებს

მე-2 გვერდიდან

ბეტონი აყარეს და ისევ ბეტონი დააგეს - აი, სწორედ ეს ნაწილი მოიცავს კორუფციას. აქ რეალურად ფული გააკეთეს, ეს თანხა შეიძლებოდა ქალაქში სხვა პროექტს მოხმარებოდა. ერთი წელი გავიდა და სამშენებლო სამუშაოები დღემდე დაუსრულებელია, მეტიც, არ მიმდინარეობს. ამ ფონზე პრემიერ-მინისტრი საქართველოს პარლამენტში გამოვიდა და განაცხადა, რომ ყველაზე წარმატებული პროექტი არის „განახლებული რეგიონები“. წარმატებული კი არა, ყველაზე კორუფციული, გაჩერებული პროექტია და წყალში

გადაყრილია 6 მილიონი ლარი. ბათუმში უამრავი პრობლემაა, რომლის მოგვარება ამ 6 მილიონად შესაძლებელი იქნებოდა. ამასთან, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე გამოდის და ცინიზმით საუბრობს, იგი ბილწსიტყვაობით გამოირჩევა. ეს პროექტები ნათელი მაგალითია, რომ ზრუნავენ არა ხალხზე, არამედ საკუთარ კეთილდღეობაზე. პროკურატურას წერილობით განცხადებით მივმართავთ, რომ ამ საკითხზე გამოძიება დაიწყოს, რადგან ფულის გათეთრება და სახელმწიფო ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვა იკვეთება, ამასთან, თანამდებობის პირების მხრიდან არის უფლებამოსილების გადამეტება“, - განაცხადა რეზო ხარაზმა.

ბინები – 20 ოჯახს

წლებია, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარაში მეწყრული პროცესები ვითარდება. სტიქიამ რამდენიმე ოჯახი ღია ცის ქვეშ დატოვა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქედის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის უპირველესი საზრუნავი დაზარალებული ოჯახებისთვის საცხოვრისის მიჩენა იყო

მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე მონაწილეობდა იმ სოციალური სახლის საძირკველში დუღაბის ჩასხმაზე, რომლის მშენებლობა სოფელ აგარის შესასვლელში, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის სიახლოვეს დაიწყო. 20 ოჯახისთვის განკუთვნილი სახლის ღირებულება 1,5 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა. კონკურსში გამარჯვებული კომპანიის მშენებლებმა სამუშაოები ხარისხიანად შეასრულეს.

ქედის მუნიციპალიტეტში მორიგი სოციალური პროექტი დასრულდა, რითაც უმნიშვნელოვანესი პრობლემა გადაიჭრა - სოფელ ქვედა აგარაში სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახები საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდნენ. აშენდა ევროსტანდარტების შესაბამისი, 5-სართულიანი ადაპტირებული საცხოვრებელი სახლი,

ახალმობინადრეთა სიხარული აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძემ გაიზიარა. მან სოციალურ სახლში 20 ოჯახს ბინები გადასცა, რომელიც ადაპტირებულია.

ოჯახებს საცხოვრებელი ფართის გადაცემა ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა, აჭარის მთავრობის წევრებმა მიულოცეს.

- ჩემი ოჯახი 5 წევრს ითვლის, - გვითხრა იოსებ ბენიძემ, - მათგან ერთი შშმ პირია. ამიერიდან ცხოვრებისა და შრომის ნორმალური პირობები გვექნება. მადლობა ყველას, ვინც ეს საშვილიშვილო საქმე ითავა.

ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა მარტოხელა მარინა გოგიძემ.

მედიკამენტები – უფასოდ

საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე კარგადაა ცნობილი ფარმაცევტული საწარმო „ნეოფარმი“, დამფუძნებელთა შორისაა ფარმაციის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ფარმაციის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ალიოშა ბაკურიძე

მშობლიურ შუახევსა და მარეთის ხეობის მოსახლეობას აკადემიკოსის თანადგომა არ აკლია. მას პირადი წვლილი შეაქვს საქველმოქმედო ფონდ „შუბნის“ შევსებაში. იგი მორალურად და მატერიალურად ეხმარება იმ სტუდენტებს, დოქტორანტებს, რომლებიც მარეთის ხეობიდან ქვეყნისა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ. ბაზარზე მედიკამენტების საკმაოდ დიდი ფასების გამო, სოციალურად დაუცველი და სიღარიბის ზღვარზე მყოფი ადამიანები მათ ვეღარ ყიდულობენ. ამ

პრობლემის ნაწილობრივ შესავსებად „ნეოფარმის“ დამფუძნებლებმა იზრუნეს. ლაშა და ტარიელ ბაკურიძეებმა შუახევის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი სტრუქტურების ხელმძღვანელებთან ერთად, ოლადაურისა და შუბნის 10-ზე მეტი სოფლის მცხოვრებლებს მედიკამენტები უფასოდ დაურიგეს.

- ეს მართლაც საუკეთესო აქციაა, - გვითხრა შუბნელმა, 70 წლის შახზად ჯუმუშაძემ, - მეუღლესთან ერთად, მთა ჩირუხში მივდივარ, მედიკამენტებს, საჭიროების შემთხვევაში, მთელი ზაფხულის განმავლობაში მოვიხმართ. მადლობა აქციის ორგანიზატორებს.

„რესურსი არის, მთავარია გონივრულად გამოვიყენოთ“

სპორტის დამსახურებული მოღვაწე, „საპატიო შუახეველი“, არაერთი სამთავრობო ჯილდოს მფლობელი - ასე იცნობს საზოგადოება ***ნოშრევან ვლადიმერის ძე დავითაძეს,*** *რომელსაც დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. მისი საქმიანობა სისხლხორცეულ კავშირშია მშობლიურ შუახევთან, რაც „აჭარასთან“ საუბარშიც გამოიხატა.*

- სხეფელა პატარა უბანია შუახევის რაიონში. ჩემი წინაპრები ბევრს აკეთებდნენ ახლად დაარსებული შუახევის რაიონის სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური წინსვლისთვის. ლევან დავითაძე პირველი შუახეველი იყო, რომელმაც სოციალისტური შრომის გმირის წოდება მოიპოვა. ივანე დავითაძე იმ წლებში ედგა სათავეში შუახევის რაიონის კომუნალურ სამსახურს, როცა დაბის კეთილმოწყობას ეყრებოდა საფუძველი. მამა იმ პირებს შორის იყო, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის დროს თურქეთიდან შემოპარული ჯაშუში ხიჭაურის (კავიანის ციხის) ტერიტორიაზე დააკავეს. ძმები დიოგენ და ამირან დავითაძეები პირველი შუახეველები იყვნენ, რომლებმაც თბილისში საცხოვრისი გაიჩინეს და წარმატებული პიროვნებების სახელი დაიმკვიდრეს. მათ კვალს მივყვები მეც.

- უშუალოდ რა იყო თქვენი სარბიელი?

- შუათანა ძმის, ამირანის მსგავსად, სპორტი, განსაკუთრებით კალათბურთი მიტაცებდა. ჩემი თაობის შუახეველმა მოსწავლეებმა საქართველოს მასშტაბითაც მოვიპოვეთ წარმატება. როლანდ ნინუა, ამირან ზოიძე, ბიჭიკო დავითაძე, ვოვა ავილოვი, ამირან დავითაძე ჩემთან ერთად გამოდიოდნენ კალათბურთში რაიონულ და რესპუბლიკურ პირველობებზე. სპორტს ბოლომდე ვუერთგულე. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მშობლიურ შუახევს დავუბრუნდი. რაიონის ხელმძღვანელობამ დიდი ნდობა გამომიცხადა და სპორტკომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე დავინიშნე. მიხეილ ხოზრევანიძე მუშაობის რადიკალურად გარდაქმნისკენ მოგვიწოდებდა. მასთან მუშაობა თითოეული ჩვენგანისთვის ცხოვრების დიდი გაკვეთილი იყო. როგორც კი რომელიმე სპორტსმენი საოლქო და რესპუბლიკურ პირველობაზე წარმატებას მიაღწევდა, დაიბარებდა, შეაქებდა, მადლობას გადაუხდიდა, რაც ჩვენთვისაც დიდი სტიმული იყო. თითქმის 35 წელი ვიმუშავე ამ თანამდებობაზე. მუხრან ვახტანგაძე საჭიდაო ლეიბზე პირველად შუახევში გამოვიდა, შემდეგ სასწავლებლად ხულოს სკოლა-ინტერნატში გადავიდა. მსოფლიო ჩემპიონი რომ გახდა, შუახევის მაშინდელი გამგებლის ტარიელ ნიჟარაძისა და ჩემი ინიციატივით, შეხვედრა მოვუწყეთ. ამ 35 წლის განმავლობაში შუახევიდან მრავალმა სპორტსმენმა გაიბრწყინა. განათლების სისტემის მესვეურთა თანადგომით, სკოლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სპორტული მუშაობა. გასული საუკუნის 90-იან წლებში, ბევრგან სპორტი თითქმის მიივიწყეს. ჩვენი ძალისხმევითა და რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელების ანზორ გოგიტიძის, ტარიელ ნიჟარაძის მხარდაჭერით, ფეხბურთში, სპორტის ზამთრის სახეობებში, რაგბში რაიონული ჩემპიონატები ტარდებოდა. მოვიწვიეთ ქუთაისელი მწვრთნელი რამაზ სვანაძე, რომელმაც შუახევში რაგბის გუნდის ჩამოყალიბებას დაუდო სათავე. დიდი იყო სოფელ ფურტიოს მაშინდელი თავკაცის ზაურ ხიმშიაშვილის თანადგომა. შუახევმა იმ წლებში რესპუბლიკური ჩემპიონატის ერთ ტურსაც უმასპინძლა. რამაზმა ფურტიოში რაგბის გოგონათა გუნდიც ჩამოაყალიბა. იმ წლებში რაიონული ბიუჯეტი ნახევარი მილიონი ლარიც არ იყო, ხელფასიც 35-40 ლარის ფარგლებში მერყეობდა. ყველაფერს ენთუზიაზმით ვაკეთებდით. 15-წლიანი მივიწყების შემდეგ ჯერ ხულომ (ქედლები), შემდეგ შუახევმა (გომარდული) სათხილამურო სპორტში აჭარის ჩემპიონატებს უმასპინძლა. გომარდულში პრიზიორი გახდა 2008 წლის აგვისტოს ომის გმირი ამირან მამალაძე. ის მაშინ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი იყო.

- ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები სპორტსაც შეეხო.

- კარგია, რომ რეფორმები ქაღალდზე არ რჩება. ქვეყანაში ფული რომ გაჩნდა, სპორტული ბაზების მშენებლობა, კვალიფიციური მწვრთნელების დასაქმება დაიწყო, რაც სპორტსმენთა კარგი მომზადების წინაპირობა გახდა. მალე დაბა შუახევში თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი ფეხბურთის, ფურტიოში - რაგბის სტადიონები გვექნება. დაბა შუახევში უნიკალური სპორტული დარბაზია ახალგაზრდების სამსახურში. სოფლებში სკოლები რომ შენდება, სპორტული დარბაზებიც გათვალისწინებულია. ჩვენი თაობისთვის დარბაზი ან ღია ტიპის ისეთი მოედნები, როგორიც ახლა ეწყობა, ოცნება იყო. ჭვანაში, როგორც კი კრივის სახლი მოვაწყვეთ, კვალიფიციური მწვრთნელი სოსო წინამძღვრიშვილი მოვიწვიეთ. ჭვანელი შოთა ამაღლობელი კრივში ევროპის პირველობის პრიზიორი გახდა. ახლანდელი სპორტული ბაზები, კვალიფიციური სპეციალისტები, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის თანადგომა, მრავალ სპორტსმენს მისცემს წარმოჩენისა და მსოფლიო სარბიელზე გაბრწყინების შანსს. სამაგალითო სპორტსმენები გვყავს ქართულ ჭიდაობაში. როგორც კი საქმეს სათავეში გელა ზოიძე ჩაუდგა, აჭარის ჩემპიონებიც გამოჩნდნენ. პერსპექტიული სპორტსმენებია ნიგაზეულელი სულხან აბაშიძე, დარჩიძეებელი რიჩარდ ფუტკარაძე. საქველმოქმედო ფონდმა „შუბანმა“ როგორც კი დარჩიძეებსა და შუბანში ქართული ჭიდაობის სექციები გახსნა, წარმატებამაც არ დააყოვნა. ჭიდაობის სხვა სახეობებშიც არის რესურსი, მთავარია, გონივრულად გამოვიყენოთ.

- სხეფელაში ყველაფერს მზრუნველი მეპატრონის ხელი ეტყობა...

- რძალი ეკა ელიაშვილი შუა ქართლიდანაა. მამამისი გამორჩეული მეურნე იყო. რამდენიმე ძირი იქაური ჯიშის ვაზი ჩამოგვიტანა. თალარზე გავიყვანეთ და ნაყოფსაც ბარაქიანად იძლევა. დაბლარ ვენახსაც გიორგისთან ერთად ვუვლი. მეუღლის გარდაცვალებამდე, პირუტყვიც გვყავდა. მსიამოვნებს, როცა თბილისიდან ჩამოსულ შვილიშვილებს - ლევანსა და სალომეს სოფლის ნობათით გავსებულ ჩანთებს ვატან. ქალ-ვაჟის მამა ოთხ შვილიშვილსაც მოვესწარი. ახლა მათ დაქორწინებაზე ვფიქრობ. გიორგი აბუსელიძე უკვე მეზღვაურია.

- ტკბილ მოგონებად რა შემოგრჩათ?

- ძმები დიოგენი და ამირანი თბილისში რომ დამკვიდრდნენ, დედას მე შევრჩი. მისგან ვისწავლე ადამიანებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, მოყვასის სიყვარული. იმ ტკბილი, ოჯახური იდილიით ახლაც ვიკვებები. არ მინდა გამომრჩეს ის დიდი ყურადღება, რაც შუახევის მუნიციპალიტეტის ახლანდელმა ხელმძღვანელობამ ჩემს მიმართ გამოიჩინა. წელს დაბაში საახალწლო კარნავალზე მიმიპატიჟეს და მერმა ომარ ტაკიძემ „საპატიო შუახეველის“ დიპლომი გადმომცა. ეს დიდი სიურპრიზი იყო. მაშინ მივხვდი, რომ წლები უქმად არ გამიტარებია და შრომა დამიფასდა.

- მწუხარება, რომელიც თავს გახსენებთ...

- ჯერ დედის, შემდეგ მეუღლის გარდაცვალება. დავითაძეებს საერთო სასაფლაო გვაქვს, დედას და მეუღლეს კი სახლის სიახლოვეს მივუჩინეთ სამუდამო სამყოფელი. თავისუფალ დროს ვნახავ თუ არა, მათ საფლავებს ვეფერები. ალბათ, სამუდამო განსასვენებელს მეც მათ გვერდით ვპოვებ.

- მხნედ გამოიყურებით, ამაზე ფიქრი ნაადრევია...

- წუთისოფელში გატარებულ დროზე გული არ მწყდება. სანიმუშო შვილები გავზარდე. გიორგი ოთხი წლის განმავლობაში შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე იყო. ახლაც საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოზიციაზე აგრძელებს მუშაობას. ლია ბანკირია. რძალი პროფესიით იურისტია. დილით სამსახურში შვილსა და რძალს რომ გავაცილებ, საღამოს მათ ოჯახში დაბრუნებას მოუთმენლად ველოდები. შარშან აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანადაფინანსების პროგრამით, ღვინის ჭურჭელი შევიძინეთ, ერთ ტონამდე ყურძენს ვკრეფთ და ოჯახში მოვიხმართ. ღვინოს მეგობრების, ახლობლების, მოყვრების გულის გასახარად ვაყენებთ. წელიწადში ერთხელ უცხოეთში გათხოვილი ბიძაშვილი ჩამომაკითხავს ხოლმე. ქართული ღვინო და არაყი გასატანებლად არ მენანება.

- ადამიანი ოცნებით ცხოვრობს...

- მინდა, ტკბილი სიბერე შევირგო და ქვეყნად მშვიდობამ დაისადგუროს.

გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ

> ***„ქვეყანაში ფული რომ გაჩნდა, სპორტული ბაზების მშენებლობა, კვალიფიციური მწვრთნელების დასაქმება დაიწყო, რაც სპორტსმენთა კარგი მომზადების წინაპირობა გახდა. მალე დაბა შუახევში თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი ფეხბურთის, ფურტიოში - რაგბის სტადიონები გვექნება. დაბა შუახევში უნიკალური სპორტული დარბაზია ახალგაზრდების სამსახურში“***

კაპნისთავის კანიონი ექსტრემალური და სათავგადასავლო ტურიზმის მოყვარულებს უმასპინძლებს

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ცნობით, კაპნისთავის კანიონი, სადაც კანიონინგისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მონტაჟი მიმდინარეობდა, ტურისტების მისაღებად მზადაა. კანიონი აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მენეჯმენტმა კანიონერ გიდებსა და მედიის წარმომადგენლებთან ერთად დალაშქრა.

მკითხველისთვის გასაგებია, რომ ზემოხსენებული კანიონი ბათუმთან ახლოს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპნისთავში მდებარეობს. „600 მეტრი სიგრძის კანიონზე ექსტრემისა და ადრენალინის მოყვარულებს 8 კასკადოვან ჩანჩქერზე თოკებით დაშვება შეუძლიათ, რომელთაგან ყველაზე მაღალი 35 მეტრია. სოფელი კაპნისთავი ულამაზეს ხეობაში ჩაფლული ჩანჩქერების სიუხვით, საცალფეხო ბილიკებით, ხელოვნურად შექმნილი აუზებით, საკემპინგე ადგილებით, სოფლის ცენტრში არსებული ღია მუზეუმით და უძველესი წისქვილებით გამორჩეული ტურისტული ადგილია“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

უჩხოს კანიონის შემდეგ ეს რიგით მეორე კანიონია, რომელიც აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ რეგიონში მოაწყო.

ამირან გურიელიძე

საქმე №01-10/119

დადგენილება

საარბიტრაჟო სარჩელის დამატებითი მტკიცებულებების მოპასუხეზე ჩასაბარებლად მისი საჯაროდ მოწვევის შესახებ

ქ. ბათუმი 23 მაისი, 2022 წელი

შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“ *არბიტრი როსტომ გუნთაიშვილი*

შპს „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“, ს.კ. 445389959, თავმჯდომარე როსტომ გუნთაიშვილმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის საქმეზე №2/ბ-546-19, 2019 წლის 15 ივლისის განჩინების საფუძველზე, ერთპიროვნულად განვიხილე კერძოსამართლებრივი ხასიათის ქონებრივ დავაზე **„საარბიტრაჟო სარჩელის დამატებითი მტკიცებულებების მოპასუხეზე ჩასაბარებლად მისი საჯაროდ მოწვევის შესახებ“** დადგენილების მიღების საკითხი.

საარბიტრაჟო მოსარჩელე: იბრაჰიმ აბედალკარიმ მუჰამედ ალ ჰიარ (იორდანიის მოქალაქის პასპორტი №0764430);

წარმომადგენელი: საქართველოს მოქალაქე დავით ტაბატაძე (პ.ნ. 36001045997), თანახმად მინდობილობისა, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №190169174 18.02.2019 წ. მოქმედების ვადა - უვადოდ;

საარბიტრაჟო მოპასუხე: საქართველოს რეზიდენტი, სს „ია-ფეთ იალჩინ პეტროლ თურიზმ თიჯაარეთის წარმომადგენლობა საქართველოში“ (ს.კ 206269571), რეგისტრირებული მისამართზე: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №11, დირექტორი - ისმაილ ჰაქქი იალჩინ (27464355590; 61701094438), თანახმად ამონაწერისა სამეწარმეო რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაციის ნომერი 18204463 07.12.2018 წ.;

დავის საგანი: კერძოსამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულებიდან გასვლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოპასუხეზე დაკისრება.

გამოვარკვიე:

1. 2019 წლის 16 აპრილს საარბიტრაჟო მოსარჩელე ფ/პ იბრაჰიმ აბედალკარიმ მუჰამედ ალ ჰიარის (იორდანიის მოქალაქის პასპორტი №0764430), წარმომადგენელმა, ფ/პ დავით ტაბატაძემ (პ.ნ. 36001045997), შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟში“ შემოიტანა საარბიტრაჟო სარჩელი მოპასუხის, საქართველოს რეზიდენტის, სს „ია-ფეთ იალჩინ პეტროლ თურიზმ თიჯაარეთის წარმომადგენლობა საქართველოში“ (ს.კ 206209571) მიმართ და მოითხოვა მოპასუხესთან 2016 წლის 08 იანვარს დადებული „საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების შესახებ“ გარიგებიდან გასვლა და მოპასუხის მიერ მიყენებული ზიანის სანაცვლო ანაზღაურების მასზე დაკისრება;

2. 2019 წლის 16 აპრილს შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულმა საერთაშორისო არბიტრაჟმა“, ს.კ. 445389959, მიიღო დადგენილება „საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღების, საარბიტრაჟო მოსაკრებლის სრული ოდენობით გადახდის გადავადების და არბიტრაჟის კომპეტენციის ცნობის შესახებ“, რომლის თანახმად, არბიტრაჟის მიერ მიღებული იქნა წარმოებაში საარბიტრაჟო სარჩელი და ცნობილი იქნა არბიტრაჟის კომპეტენცია, ერთი არბიტრის მონაწილეობით განეხილა აღნიშნული საარბიტრაჟო სარჩელი. არბიტრაჟის აღნიშნული დადგენილება, საარბიტრაჟო სარჩელთან და თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, მოპასუხეს დაზღვეული საფოსტო გზავნილით ჩაბარდა 2019 წლის 23 აპრილს;

3. 2022 წლის 16 მაისს საარბიტრაჟო მოსარჩლის წარმომადგენელმა არბიტრაჟს მომართა განცხადებით, არბიტრაჟს მიეღო დადგენილება **„საარბიტრაჟო სარჩელის დამატებითი მტკიცებულებების მოპასუხეზე ჩასაბარებლად მისი საჯაროდ მოწვევის შესახებ“**, რაც დაკმაყოფილდა არბიტრაჟის მიერ.

ვიხელმძღვანელე რა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის **მე-8; მე-16; 27-ე; 32-ე მუხლებით** და მუდმივმოქმედი **„არბიტრაჟის დებულების“ მე-13 მუხლის 1 და 6 პუნქტებით;**

დავადგინე:

მიღებული იქნეს დადგენილება

1. მიღებული იქნეს დადგენილება, სამოქალაქო საქმეზე, №01-10/119, საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხეზე საქართველოს რეზიდენტი, სს „ია-ფეთ იალჩინ პეტროლ თურიზმ თიჯაარეთის წარმომადგენლობა საქართველოში“ (ს.კ 206269571) დირექტორზე ისმაილ ჰაქქი იალჩინზე (27464355590; 61701094438) **„საარბიტრაჟო სარჩელის დამატებითი მტკიცებულებების მოპასუხეზე ჩასაბარებლად მისი საჯაროდ მოწვევის შესახებ“**;

2. განემარტოს საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხეს, საქართველოს რეზიდენტს, სს „ია-ფეთ იალჩინ პეტროლ თურიზმ თიჯაარეთის წარმომადგენლობა საქართველოში“ (ს.კ. 206269571) დირექტორ ისმაილ ჰაქქი იალჩინს (27464355590; 61701094438), რომ წინამდებარე დადგენილების საჯაროდ გამოქვეყნებიდან შვიდი დღის განმავლობაში გამოცხადდეს **შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟში“** (ქ. ბათუმი, ახ. მელაშვილის ქ. №26, მე-3 სართული, საკ. ტელ: 577 78 19 77, 10.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე, დასვენების და უქმე დღეების გარდა), საარბიტრაჟო სარჩელის დამატებითი მტკიცებულებების მისაღებად, წინააღმდეგ შემთხვევაში, საარბიტრაჟო სარჩელის დამატებითი მტკიცებულებები ჩაითვლება მასზე ჩაბარებულად;

3. საჯარო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „აჭარაში“ მოსარჩელე მხარის ხარჯით;

4. არბიტრაჟის დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“ არბიტრი როსტომ გუნთაიშვილი

საქმე №01-10/123

დადგენილება

საარბიტრაჟო სარჩელის დამატებითი მტკიცებულებების მოპასუხეზე ჩასაბარებლად მისი საჯაროდ მოწვევის შესახებ

ქ. ბათუმი 23 მაისი, 2022 წელი

შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“ *არბიტრი როსტომ გუნთაიშვილი*

შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“, ს.კ. 445389959, თავმჯდომარე როსტომ გუნთაიშვილმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის საქმეზე №2/ბ-546-19, 2019 წლის 15 ივლისის განჩინების“ საფუძველზე, ერთპიროვნულად განვიხილე კერძოსამართლებრივი ხასიათის ქონებრივ დავაზე **„საარბიტრაჟო სარჩელის დამატებითი მტკიცებულებების მოპასუხეზე ჩასაბარებლად მისი საჯაროდ მოწვევის შესახებ“** დადგენილების მიღების საკითხი.

საარბიტრაჟო მოსარჩელე: ჰანა საბრი თაჰერ ფრეიჰატ (იორდანიის მოქალაქის პასპორტი №667730);

წარმომადგენელი: საქართველოს მოქალაქე დავით ტაბატაძე (პ.ნ. 36001045997), თანახმად მინდობილობისა, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №190169174 18.02.2019 წ. მოქმედების ვადა - უვადოდ;

საარბიტრაჟო მოპასუხე: საქართველოს რეზიდენტი, სს „ია-ფეთ იალჩინ პეტროლ თურიზმ თიჯაარეთის წარმომადგენლობა საქართველოში“ (ს.კ 206269571), რეგისტრირებული მისამართზე: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №11, დირექტორი - ისმაილ ჰაქქი იალჩინ (27464355590; 61701094438); თანახმად ამონაწერისა სამეწარმეო რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაციის ნომერი 18204463 07.12.2018 წ.;

დავის საგანი: კერძოსამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულებიდან გასვლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოპასუხეზე დაკისრება.

გამოვარკვიე:

1. 2019 წლის 16 აპრილს საარბიტრაჟო მოსარჩელეს, ფ/პ იბრაჰიმ აბედალკარიმ მუჰამედ ალ ჰიარის (იორდანიის მოქალაქის პასპორტი №0764430), წარმომადგენელმა: ფ/პ დავით ტაბატაძემ (პ.ნ. 36001045997), შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟში“ შემოიტანა საარბიტრაჟო სარჩელი მოპასუხის, საქართველოს რეზიდენტის, სს „ია-ფეთ იალჩინ პეტროლ თურიზმ თიჯაარეთის წარმომადგენლობა საქართველოში“ (ს.კ. 206209571) მიმართ და მოითხოვა მოპასუხესთან 2016 წლის 08 იანვარს დადებული „საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების შესახებ“ გარიგებიდან გასვლა და მოპასუხეს მიერ მიყენებული ზიანის სანაცვლო ანაზღაურების მასზე დაკისრება;

2. 2019 წლის 16 აპრილს შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟმა“, ს.კ. 445389959, მიიღო დადგენილება „საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღების, საარბიტრაჟო მოსაკრებლის სრული ოდენობით გადახდის გადავადების და არბიტრაჟის კომპეტენციის ცნობის შესახებ“, რომლის თანახმად, არბიტრაჟის მიერ მიღებული იქნა წარმოებაში საარბიტრაჟო სარჩელი და ცნობილი იქნა არბიტრაჟის კომპეტენცია, ერთი არბიტრის მონაწილეობით განეხილა აღნიშნული საარბიტრაჟო სარჩელი. არბიტრაჟის აღნიშნული დადგენილება, საარბიტრაჟო სარჩელთან და თანდართულ დოკუმენტებთან ერთად მოპასუხეს დაზღვეული საფოსტო გზავნილით ჩაბარდა 2019 წლის 23 აპრილს;

3. 2022 წლის 16 მაისს საარბიტრაჟო მოსარჩლის წარმომადგენელმა არბიტრაჟს მომართა განცხადებით, არბიტრაჟს მიეღო დადგენილება **„საარბიტრაჟო სარჩელის დამატებითი მტკიცებულებების მოპასუხეზე ჩასაბარებლად მისი საჯაროდ მოწვევის შესახებ“**, რაც დაკმაყოფილდა არბიტრაჟის მიერ.

ვიხელმძღვანელე რა **„არბიტრაჟის შესახებ“** საქართველოს კანონის **მე-8; მე-16; 27-ე; 32-ე მუხლებით** და მუდმივმოქმედი „არბიტრაჟის დებულების“ **მე-13 მუხლის 1 და 6 პუნქტებით;**

დავადგინე:

1. მიღებული იქნეს დადგენილება სამოქალაქო საქმეზე სამოქალაქო საქმეზე, №01-10/123, საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხეზე საქართველოს რეზიდენტი, სს „ია-ფეთ იალჩინ პეტროლ თურიზმ თიჯაარეთის წარმომადგენლობა საქართველოში“ (ს.კ. 206269571) დირექტორზე ისმაილ ჰაქქი იალჩინზე (27464355590; 61701094438) **„საარბიტრაჟო სარჩელის დამატებითი მტკიცებულებების მოპასუხეზე ჩასაბარებლად მისი საჯაროდ მოწვევის შესახებ“;**

2. განემარტოს საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხეს, საქართველოს რეზიდენტს, სს „ია-ფეთ იალჩინ პეტროლ თურიზმ თიჯაარეთის წარმომადგენლობა საქართველოში“ (ს.კ. 206269571) დირექტორს ისმაილ ჰაქქი იალჩინს (27464355590; 61701094438), რომ წინამდებარე დადგენილების საჯაროდ გამოქვეყნებიდან შვიდი დღის განმავლობაში გამოცხადდეს შპს **„აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟში“** (ქ. ბათუმი, ახ. მელაშვილის ქ. №26, მე-3 სართული, საკ. ტელ: 577 78 19 77, 10.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე, დასვენების და უქმე დღეების გარდა), საარბიტრაჟო სარჩელის დამატებითი მტკიცებულებების მისაღებად, წინააღმდეგ შემთხვევაში, საარბიტრაჟო სარჩელის დამატებითი მტკიცებულებები ჩაითვლება მასზე ჩაბარებულად;

3. საჯარო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „აჭარაში“ მოსარჩელე მხარის ხარჯით;

4. არბიტრაჟის დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“ არბიტრი როსტომ გუნთაიშვილი

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოროვის ქ. №2ᵃ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 10/06/22, 21 15 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„თუ დილას დავიწყებთ მადლიერებით, ბევრად კარგი დღე გვექნება“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ჯაბა გორგილაძემ ლიტერატურულ საღამოებზე გამოჩენისთანავე მიიპყრო მკითხველის ყურადღება. ბათუმელებმა, და არა მარტო მათ, შეიყვარეს გულწრფელი, კომუნიკაბელური, თავმდაბალი, კეთილი ახალგაზრდა, რომელიც საკუთარ სათქმელს ლექსად უზიარებდა მსმენელებს. ახლახან ის ყურნალ „ჭოროხიდან“ შეეხმიანა მკითხველს თავისი ლექსებით... აჭარის მთიანეთის შვილს ბუნებამ სილაღე უწილადა, სულიერად და ფიზიკურად გააძლიერა და ახლა ახალგაზრდა პოეტი ჯაბა გორგილაძე შემდგარი პიროვნებაა, რომლის სიტყვა და საქმე ერწყმის ერთმანეთს. დღეს სწორედ მას ვესაუბრებით.

- ჩვენი გაზეთის სტუმარი ერთი წლის წინათ იყავით, მას შემდეგ როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება, შემოქმედება?

- შემოქმედება? სიმართლე გითხრათ, უფრო ვცდილობ, მკითხველი, მსმენელი ვიყო.

- როდის დაიბადა თქვენში პოეტი?

- რთული სათქმელია, თუმცა ყოველდღე ვმუშაობ საკუთარ თავზე, რომ არ გარდაიცვალოს ადამიანი ჩემში, ჯერ უნდა იყო ადამიანი შენი ღირებულებებით, შემდეგ - პოეტი!

- „ფეისბუქზე“ მხატვრულ, პოლიტიკურ პოსტებს აქვეყნებთ, ხანდახან - სატირულსაც. „ვინ გადაგაგდო - პოეტმა, ვინ მოგატყუა - პოეტმა, ვინ დაგბლოკა - პოეტმა, ვინ გამოგიყენა - პოეტმა!“ - ამბობთ ერთგან, გული გატკინეს, როგორც ჩანს...

- წინა საუკუნეში პოეტი იყო ადამიანების მაგალითი, სულიერი მამა, პოეტების სიტყვას დიდი ძალა ჰქონდა... რასაც ვამბობ, ეს ფსევდოპოეტებზეა ნათქვამი, მელექსეებზე... ყველაზე მეტად ის მკლავს, რომ შეიძლება ავტორის ლექსი ღირებული იყოს, წაიკითხავ, ისიამოვნებ, თუმცა ახლოს გაიცნობ და იწყება იმედგაცრუება, ტყუილი, ბოღმა. ჯერ იბადები ადამიანად და მერე ხარ პოეტი, თუმცა ჩვენთან პირიქითაა, ვერ შედგნენ ადამიანებად და პოეტები ჰგონიათ თავი, დაფრინავენ მხარბეჭგაშლილცხვირაბზეკილები. რასაკვირველია, საკმაოდ ბევრია ისეთიც, რომლებშიც ჯერ ადამიანია და მერე - პოეტი.

- „თუ სუიციდი გადავწყვიტე, თქვენ ნუ დამიმატებთ გინებით, კრიტიკით და ცინიზმით, იქნებ გადამარჩინოთ და ჩემი უსუსურობა ერთად დავამარცხოთ“, - ესეც თქვენი სიტყვებია. ამას რომ წერდით, გსურდათ, თანადგომის და თანაზიარობის უნარი გაგელვიძებინათ ადამიანებში?

- არასოდეს ვამართლებ ადამიანს, რომელიც სუიციდზე ფიქრობს. უფალი მოწყალეა, გამორიცხულია, ბოროტებამ გაიმარჯვოს. თუ გრძნობ გულში უფალს, ის ყოველთვის შენთან არის. ადამიანები მარტონი ვართ... დღეს რთული ცხოვრებაა, საკმაოდ ბევრი მიზეზია, დაითრგუნო, თუმცა ყველა არაა ძლიერი, ასე რომ, ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით და ის, ვინც ძლიერია, უნდა ეცადოს, გააღვიძოს იმედი განსაცდელში მყოფი ადამიანის გონებაში, ჩვენ ერთმანეთს გადავდებთ ჭარბ სიყვარულს, მაგრამ როცა ვხედავთ, განსაცდელშია ადამიანი, ჭაობშია, ხელის გაწოდების ნაცვლად, განვიკითხავთ, ვაგინებთ, ვღლიცინებთ. გესმოდეთ, გვესმოდეს, ყველა ადამიანში არის უფალი, უბრალოდ, ყველა ვერ გრძნობს, ჩვენ შეგვიძლია ვაგრძნობინოთ ერთმანეთს, რომ, დიახ, ჩვენშია უფალი, ის ძლიერია და ცხოვრება მშვენიერია!

> *„არასოდეს ვამართლებ ადამიანს, რომელიც სუიციდზე ფიქრობს. უფალი მოწყალეა, გამორიცხულია, ბოროტებამ გაიმარჯვოს. თუ გრძნობ გულში უფალს, ის ყოველთვის შენთან არის. ადამიანები მარტონი ვართ... დღეს რთული ცხოვრებაა, საკმაოდ ბევრი მიზეზია, დაითრგუნო, თუმცა ყველა არაა ძლიერი, ასე რომ, ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით და ის, ვინც ძლიერია, უნდა ეცადოს, გააღვიძოს იმედი განსაცდელში მყოფი ადამიანის გონებაში“*

- პირველი წიგნი, რომელმაც შეგძრათ და ახლა რას კითხულობთ?

- დათა თუთაშხია, ახლა არ ვკითხულობ.

- თვისება, რომელიც ყველაზე მეტადაა თქვენში განვითარებული?

- პასუხისმგებლობა.

- ყველაზე მეტად რას აფასებთ და გიზიდავთ ადამიანებში, ბუნებაში?

- თავმდაბლობა, თავმდაბლობა და თავმდაბლობა!

- ადამიანები, რომელთა არსებობამ და მაგალითმა ძალა შეგმატათ...

- ახლა ყველაზე დიდ ძალას მაძლევს შვილი - ის ყოველდღე მასწავლის, როგორ გავხდე უკეთესი!

- როცა მარტო რჩებით, რა არის თქვენი ფიქრის საგანი?

- ადამიანები, ოჯახი, საქართველო, მოსახლეობა, რომელიც სიღარიბეშია, ბავშვები რომლებსაც საჭმელი არ აქვთ, ჩვენ ეს მოცემულობა ყველამ ერთად უნდა შევცვალოთ, უბრალოდ, მეტს იმსახურებს ქართველი ერი!

- ტრადიცია და ნოვატორობა - საითკენ იხრებით?

- რა თქმა უნდა, ორივე, ფესვების გარეშე ხე წარმოგიდგენიათ? ტრადიცია ბევრს სხვაგვარად ესმის - ფანატიკურად, ტრადიცია არის ღირებულებების გადაცემა შვილებისთვის, რაც დაკავშირებულია იმასთან, თუ საიდან მოვედით, ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრები. რაც შეეხება ნოვატორობას, მის გარეშე ქვეყნის წინსვლა შეუძლებელია, დღეს რა ხდება? ორივე დეფიციტია.

- ყველაზე შთამბეჭდავი ვარსკვლავიანი ცა სად და როდის დაინახეთ?

- რა თქმა უნდა, სანაპიროზე.

- ბოდიში, მიტევება, მაპატიეთ - ამ სიტყვებს რამდენად ხშირად წარმოთქვამთ და, შესაბამისად, რეალურად იქცევით?

- სიტყვების ხშირ გამოყენებას სჯობს საქმით მიუტევო, უფრო კარგია, თუ ხშირად ვიტყვით მადლობას. ადამიანები თუ დილას დავიწყებთ მადლიერებით, ბევრად კარგი დღე გვექნება. შეგიძლიათ ექსპერიმენტი ჩაატაროთ, გამოხატეთ სულ მადლიერება, უთხარით ირგვლივ ადამიანებს მადლობა, დააფასეთ მათი სიკეთე, თუნდაც პატარა და აი, ნახავთ როგორი ბედნიერები იქნებით. დეპრესიას უმადურობა ქმნის, უმადურობა დიდი ცოდვაა. ვასწავლოთ შვილებს მადლიერება და ბოდიშის მოხდაც ნაკლებად დაგვჭირდება.

- სულიერი ცხოვრება როგორ გესმით?

- სულიერი ცხოვრება არის მარადიული გზა, წუთისოფელი დროებითია. აქ ხდება სულის კვება, ან დაცემა. როდესაც ადამიანი სულიერად ძლიერია, უფრო გრძნობს უფალს თავის გულში, გონებაში.

- როგორი ინტუიცია გაქვთ, ქვეცნობიერს თუ უღრმავდებით?

- არ მიფიქრია, თუმცა რაღაცებს „მიზანში ვარტყამ“ - მომავალი მიგრძვნია!

- კითხვა, რომელიც ხშირად გაფიქრებთ და პასუხს მოითხოვს...

- როცა ადამიანებს შეგვიძლია, ვიყოთ ბედნიერები, რატომ ვკლავთ ერთმანეთს? რატომ არ მთავრდება ომები დედამიწაზე, რატომ?..!მადლობა ყურადღებისთვის, მადლობა თქვენ, გაზეთ „აჭარის“ შემოქმედებით გუნდს, წარმატებებს გისურვებთ!

- თქვენი ერთი ლექსი...

- ეს ლექსი დღეს მიმდინარე ომს ეძღვნება, რთულია უყურო ამდენ ბოროტებას და იყო ბედნიერი.

ბომბების წვიმაა, კაპიტანო!
ყელში გამეჩხირა, კაპიტანო!
ტირილი მინდება, კაპიტანო!
კაცებიც ტირიან, კაპიტანო!
ავდექი დილას, აპრილის სითბო,
ვაკოცე შვილებს, ეძინათ ტკბილად.
მე ჩემს თავს ვკითხო?
მე ჩემს თავს ვკითხო?
სულში რა მტკივა, თავი რად მტკივა?
ბომბების წვიმაა, კაპიტანო!
სარდაფში სხივები ჩავიტანო.
მომეცი სათამაშო, კაპიტანო.
მითხარი, როგორ უნდა ავიტანო?
აპრილს არ უხდება დაბნელება.
ბავშვები სარდაფში თამაშობენ.
როგორ მოიღუშნენ ენძელები,
როგორ დამტოვე და დამაშორე?
ღმერთი მეცოდება, კაპიტანო,
ღმერთი მშობელია, კაპიტანო.

„ეკო-თოფუზი“ - ახალშენის №1 საშუალო სკოლაში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენის №1 საშუალო სკოლაში, ანიმაციური ფილმების ფესტივალ „თოფუზის“ ფარგლებში, ჩატარდა საგანმანათლებლო ღონისძიება მოზარდებისთვის - ვორქშოპი ანიმაციაში. მოზარდებმა შექმნეს ანიმაციური კლიპი Stop Motion-ტექნიკის გამოყენებით.

„თოფუზი“ საშუალებას აძლევს ნებისმიერ ანიმატორს, რეჟისორსა და პროდიუსერს, საკუთარი ნამუშევრები საზოგადოებას წარუდგინოს.

ფესტივალის მიზანია ამ დარგის პოპულარიზაცია და ახალგაზრდა ანიმატორების პროფესიული განვითარება.

აღსანიშნავია, რომ ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“ ყოველწლიურად უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი ხდება. განსაკუთრებით საინტერესოა მის ფარგლებში მიმდინარე საგანმანათლებლო აქტივობები.

პროექტი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლებისა და კულტურის სამსახურის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა.

ციკო ფუტკარაძე ევროპის ჩემპიონია

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

გერმანიის ქალაქ მიუნხენში ევროპის ღია ჩემპიონატზე მშვილდოსნობაში საქართველოდან 6 სპორტსმენი მონაწილეობდა, აქედან სამი - ირა არჯევანიძე, მირიან წულუკიძე და ციკო ფუტკარაძე აჭარიდან იყვნენ. ჩემპიონატი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მასზე მომავალი ევროპის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიები თამაშდებოდა

შესანიშნავად იასპარეზა გუშინ გამართულ შეჯიბრებაში 70-მეტრიან დისტანციაზე ჩვენმა ციკო

ფუტკარაძემ, სახელოვანი მშვილდოსნების - ხათუნა ნარიმანიძისა და თამაზ ფუტკარაძის შვილმა. მან საუკეთესო შედეგით ევროპის ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი დაისაკუთრა, ამასთან, ევროპის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიაც მოიპოვა.

ევროპის ჩემპიონის მწვრთნელია საქართველოს ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი თამაზ ფუტკარაძე.

ვულოცავთ ჩვენს მშვილდოსანს ევროპის ჩემპიონობას, ახალ წარმატებებს ვუსურვებთ!

იტალიელები ხვიჩაზე „გიჟდებიან“

ჩრდილოეთ მაკედონიისა და საქართველოს შეხვედრის (0:3) შემდეგ იტალიაში ადგილობრივი გამოცემები ხვიჩა კვარაცხელიას პერფორმანსს გამოეხმაურნენ

„ერთა ლიგის C ჯგუფში მე-3 ტურის ცენტრალური შეხვედრა მაკედონიასა და საქართველოს შორის გაიმართა. თუ მასპინძლები 3 ქულას მოიპოვებდნენ, მაშინ პირველ ადგილზე გადავიდოდნენ. ტრადიციულად ბრწყინვალე შეხვედრა ჩაატარა „ნაპოლის“ მომავალმა ფეხბურთელმა ხვიჩა კვარაცხელიამ. ქართველმა ფეხბურთელმა 62-ე წუთზე საჯარიმოს გარედან მაკედონიელებს გოლი ჩინებული გასროლით გაუტანა. „კვარას“ სანაცვლოდ 10 მილიონი გადაიხადეს. ახალწვეულის დავალება იქნება, ღირსეულად შეცვალოს გუნდის ყოფილი კაპიტანი ლორენცო ინსინიე და მისი წასვლა ხელმძღვანელობას სანანებელი არ გაუხდეს. რუსეთის მიერ უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომის წამოწყების შემდეგ ხვიჩამ ყაზანის „რუბინი“ დატოვა და კარიერა ბათუმის „დინამოში“ გააგრძელა, სადაც 11 მატჩში თავი 8 გოლით გამოიჩინა“ - Spazzionapoli.

„ნაპოლის“ მომავალმა ფეხბურთელმა მაკედონიელებს კიდევ ერთი ულამაზესი გოლი გაუტანა. ხვიჩას არ უყვარს გაჩერება, გუშინ კი თავისი გოლის ეპიზოდში მეკარეს შანსი არ დაუტოვა. კომენტატორი აღფრთოვანებული იყო მისი მოქმედებით. იტალიურმა გუნდმა ფენომენალური მოთამაშე შეიძინა. ამ ტრანსფერით ნეაპოლელებმა მიზანში მოახვედრეს, კვარაცხელია სერია A-ს მომდევნო სეზონის ერთ-ერთი დიდი სიურპრიზი იქნება“ - Areanapoli.

„კვარაშოუ“ გრძელდება, „ნაპოლის“ ახალი შენაძენის კიდევ ერთი მაგიური გოლი. კვარაცხელიამ და საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ელიფ ელმასი და ჩრდილოეთი მაკედონია 3:0 დაამარცხეს. ერთ-ერთი გოლი 62-ე წუთზე ნეაპოლელთა მომავალმა ვარსკვლავბიჭუნა ხვიჩა კვარაცხელიამ გაიტანა“ - Corrieredellosport.

დღეისთვის საქართველო ჯგუფს 9 ქულით ლიდერობს და მეორეადგილოსან მაკედონიას 5 ქულით უსწრებს.

ჩვენი ნაკრები ერთა ლიგის მეოთხე ტურის მატჩს ბულგარეთის წინააღმდეგ „დინამო არენაზე“ 12 ივნისს, 20:00 საათზე გამართავს.

ამირან გურიელიძე